საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F-171
1964

**11-12**

ნოემბერი—დეკემბერი

თბილისი—1965

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება № 1133

## დუშეთის რაიონის სოფ. ფასანაურის საშუალო სკოლის ახლად-აგებული შენობის მდგომარეობისა და მისი ექსპლოატაციაში დროზე გადაუცემლობის შესახებ

დუშეთის რაიონის სოფ. ფასანაურის საშუალო სკოლის ახლადაგებული შენობის მდგომარეობისა და მისი ექსპლოატაციაში დროზე გადაუცემლობის მიზეზების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის ახალი შენობა 1963 წლის 1 სექტემბრისათვის მიღებული იქნა აქტით სახელმწიფო კომისიის მიერ. აქტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი კარგია და შეიძლება შენობა საექსპლოატაციოდ იქნეს გადაცემული 1963 წლის 1 სექტემბრიდან, ხელს აწერენ: დუშეთის რაიაღმასკომის წარმომადგენელი ს. ხუციშვილი, სკოლის დირექტორი ნ. ჭავჭანიძე, სანეპიდსადგურის წარმომადგენელი—ა. წულუკიძე, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობიდან—ციხელაშვილი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ტექზედამხედველობის ჯგუფის უფროსი—შ. ბუთიკაშვილი, ტექზედამხედველი—გ. ზაქარაშვილი, ტრესტ № 2-ის მე-5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი—ვ. ღოღობერიძე, მთავარი ინჟინერი—დგებუაძე, სამუშაოთა მწარმოებლები: მშენებლობის—ცინცაძე, სანტექნიკისა—ქოიავა და ელექტროტექნიკის—სეფერთელაძე, მაშინ, როდესაც აღნიშნული დროისათვის მშენებლობა კომპლექსურად დამთავრებული არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მშენებლობა დამთავრდა 1964 წლის 1 კვარტალისათვის და შეიძლებოდა შენობაში მეცადინეობის დაწყება, დირექტორმა ნ. ჭავჭანიძემ ბავშვების მასში გადაყვანა გააჭიანურა 1964/65 სასწავლო წლის დასაწყისამდე და სწავლას აგრძელებდა ძველ შენობაში, სადაც მეცადინეობისათვის არ იყო არავითარი პირობები.

ამ ხნის განმავლობაში, უმეთვალყურეობის გამო, 1964 წლის ზამთრის ქარებმა და ნალექებმა დააზიანეს ახალი შენობის სახუ-

რავი და ყველა სართულების ჭერი, პარკეტის იატაკი და კედლები და საჭირო შეიქნა აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დუშეთის რაიონის სოფ. ფასანაურის საშუალო სკოლის დირექტორი—ნ. ჭავჭანიძე, რომელმაც ვერ უზრუნველყო ახალი შენობის სათანადო მოვლა, რის გამო გარკვეული ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, მოხსნას იმსახურებს, მაგრამ ვითვალისწინებ რა დამაკმაყოფილებელ მუშაობას სასწავლო-სააღმზრდელო დარგში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, გამოეცხადოს მას სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

2. სოფ. ფასანაურის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში—თ. ზამუკოვა, რომელმაც თავი ვერ გაართვა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, განთავისუფლდეს თანამდებობიდან.

დაევალოს დუშეთის რაიონის განათლების განყოფილებას თ. ზამუკოვა გამოიყენოს შესაფერ სამუშაოზე.

3. დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ა. ბალხამიშვილს დუშეთის რაიონის სოფ. ფასანაურის ახლადდამთავრებული და სახელმწიფო აქტით მიღებული საშუალო სკოლის შენობის ექსპლოატაციაში დროზე გადაუცემლობისათვის, რამაც ხელი შეუწყო შენობის დაზიანებას, მიეთითოს.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს შ. ა. ბუთიკაშვილს დუშეთის რაიონის ს. ფასანაურის საშუალო სკოლის დაუმთავრებელი მშენებლობის მიღებისა და სახელმწიფო აქტის გაფორმებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

5. გაფრთხილებულ იქნან ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან კომპლექსურად დაუმთავრებელი სასკოლო შენობებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის მიღება და ექსპლოატაციაში გადაცემა.

6. ეს ბრძანება გამოქვეყნებული იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „ბრძანებათა და ინსტრუქციების კრებულის" უახლოეს ნომერში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უშ. ობოლაძე
1964 წლის 22 ოქტომბერი

## სკოლამდელი დაწესებულებების—საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღების აღმზრდელთა მეთოდური გაერთიანების

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### I. მეთოდური გაერთიანების ამოცანები

1. მეთოდური გაერთიანება წარმოადგენს საბავშვო ბაღების (ბაგა-ბაღების) აღმზრდელთა მუდმივმოქმედ კოლექტიური მეთოდური მუშაობის ორგანიზაციულ ფორმას.

2. მეთოდური გაერთიანების ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს აღმზრდელებს პედაგოგიური კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებაში;

ბ) დაეხმაროს მათ, პრაქტიკაში სწორად განახორციელონ აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღში და დაახელოვნოს ისინი აღმზრდელობითი მუშაობის (თამაშის, სიმღერის, თხრობის, მასალებზე მუშაობის და ა. შ.) მეთოდებსა და ხერხებში.

გ) ხელი შეუწყოს საუკეთესო გამოცდილებების გავრცელებას;

დ) მეთოდური დახმარება გაუწიოს ახლად დამწყებ და ნაკლები გამოცდილების მქონე აღმზრდელებს;

ე) გააცნოს აღმზრდელებს ახალი პედაგოგიური და საბავშვო ლიტერატურა.

### II. მეთოდური გაერთიანების მუშაობის შინაარსი და ფორმები

3. მეთოდური გაერთიანების მუშაობა განისაზღვრება სახელმძღვანელოს „აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღში" შინაარსით, სკოლამდელი აღზრდის მორიგი ამოცანებითა და მოცემული რაიონის ან ქალაქის სკოლამდელ დაწესებულებების მუშაობის პირობებით.

4. მეთოდური გაერთიანებების მუშაობის სახეებია:

ა) ცალკეული მოხსენებებისა და ლექციების ჩატარება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე;

ბ) მოხსენებების ჩატარება და რეფერატების კითხვა სკოლამდელ პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიასა და მეთოდიკაში;

გ) აღმზრდელების მოხსენებებისა და ინფორმაციების განხილვა საალმზრდელო პრაქტიკის კონკრეტულ საკითხებზე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მეცადინეობისა და სხვა სახის საქმიანობის შინაარსი და მათი ჩატარების მეთოდიკა, ყოველდღიური აღმზრდელობითი მუშაობა, საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) ჰიგიენასანიტარიის საკითხები და სხვ.

დ) პროგრამულ-მეთოდური მითითებების, მეთოდური წერილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საინსტრუქციო მეთოდური დოკუმენტების შესწავლა, სათანადო ჟურნალებში მოთავსებული ცალკეული სტატიების განხილვა;

ე) საპროგრამო მასალის ანალიზი და აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;

ვ) აღმზრდელთა ურთიერთ დასწრება მეცადინეობაზე, ღია მეცადინეობის ორგანიზაცია და მათი გაანალიზება;

ზ) პრაქტიკული მეცადინეობის მოწყობა დამწყები მუშაკებისათვის;

თ) პედაგოგიური პროპაგანდის ჩატარება მშობლებსა და მოსახლეობას შორის.

### III. მეთოდური გაერთიანებების მუშაობის ორგანიზაცია

5. მეთოდურ გაერთიანებებში მონაწილეობენ აღმზრდელები და გამგეები მოცემული რაიონის ან ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ყველა სკოლამდელი დაწესებულებებიდან.

6. თუ რაიონში ან ქალაქში არსებობს რამდენიმე სამ და ოთხ ჯგუფიანი საბავშვო ბაღი და ბაგა-ბაღი, ამ შემთხვევაში რაიონის ან ქალაქის მეთოდურ გაერთიანებებში ყალიბდება სექციები: უმცროსი, საშუალო და უფროსი ჯგუფების აღმზრდელთათვის.

7. ერთკომპლექტიან ან ორკომპლექტიან საბავშვო ბაღების აღმზრდელთათვის, თუ რაიონში ან ქალაქში 8-10 საბავშვო ბაღია, მოეწყობა ცალკე მეთოდური გაერთიანებანი.

**შენიშვნა:** იმ რაიონების აღმზრდელებისა და გამგეებისათვის, სადაც 1-2 საბავშვო ბაღია, იქმნება სარაიონო გაერთიანება, რომლის შეკრება წელიწადში ტარდება 2-3 ჯერ.

მეთოდური გაერთიანების ორგანიზება ევალება რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას; ჯგუფური მეთოდური გა-

ერთიანებისა და სექციების ხელმძღვანელები ინიშნებიან რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების მიერ საუკეთესო კვალიფიციური აღმზრდელებისა და გამგეების რიცხვიდან.

8. მეთოდური გაერთიანებების მუშაობისათვის რაიონის განათლების განყოფილება აწესებს ერთ გარკვეულ დღეს კვარტალში; სამუშაო საათები ინიშნება იმ ანგარიშით, რომ ხელი არ შეეშალოს სკოლამდელ დაწესებულებათა ნორმალურ მუშაობას და ამავე დროს ყველა აღმზრდელი იყოს ჩაბმული მეთოდგაერთიანების მუშაობაში, ხოლო სექციური მუშაობა ტარდება თვეში არაუმეტეს ერთისა.

9. რაიონული და ჯგუფური მეთოდური გაერთიანების გეგმები დგება ნახევარი წლისათვის და მტკიცდება განათლების განყოფილების გამგის მიერ.

## IV. მეთოდური გაერთიანებების ხელმძღვანელობა

10. საქალაქო, რაიონული, ჯგუფური მეთოდური გაერთიანებების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს განათლების განყოფილება.

11. ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილებასთან არსებული სკოლამდელი მეთოდური კაბინეტები სისტემატურ დახმარებას უწევენ მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელობას.

13. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი დროგამოშვებით აწყობს სემინარს სკოლამდელ დაწესებულებათა მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელთათვის, უწევს მათ ზეპირ და წერილობით კონსულტაციას, აწყობს ლექცია-მოხსენებებს მეთოდური მუშაობის საკითხებზე.

მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელები:

ა) ადგენენ მეთოდური გაერთიანების გეგმებს, იხილავენ მათ სკოლამდელ მუშაკებთან და დასამტკიცებლად უდგენენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგეს;

ბ) უზრუნველყოფენ გეგმის შესრულებას, ზოგ შემთხვევაში მომხსენებლად იწვევენ გამოცდილ კვალიფიციურ ლექტორებს, სკოლამდელი პედაგოგიური სასწავლებლების მასწავლებლებსა და ინსტიტუტების მუშაკებს;

გ) ადგენენ ღია მეცადინეობებისა და საბავშვო ბაღებში ბაგა-ბაღებში აღმზრდელთა ურთიერთ დასწრების ცხრილებს;

დ) აწყობენ მეთოდური გაერთიანების მუშაობის აღრიცხვას და ანგარიშს აბარებენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება № 1154

## ქ. თბილისის ზოგიერთი რაიონისა და ქ. გორის სკოლამდელი დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. თბილისის ზოგიერთი რაიონისა და ქ. გორის სკოლამდელი დაწესებულებების ერთმა ნაწილმა დროულად გაშალა მუშაობა ახალი, 1964—1965 სასწავლო წლიდან მეცადინეობის ორგანიზებულად განახლებისათვის და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია. ქ. თბილისის ლენინის რაიონის პირველ ბაგა-ბაღში (გამგე ვ. ჯელია) დროულად ჩატარდა რემონტი, შეკეთდა ელექტრო, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ქსელი, შეძენილი იქნა რბილი და მაგარი ინვენტარი, სასწავლო ნივთები, დიდაქტიკური მასალები, სათამაშოები და სხვ. დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე ქ. თბილისის 90-ე, ქ. გორის მე-2, მე-3, მე-5, პირველ და მეორე ბაგა-ბაღში (გამგეები ე. ნოდია, ქ. თავზარაშვილი, ლ. ჩინჩალაძე, ბ. თულაშვილი, ა. დიდებული, რ. ცუცქირიძე).

მიუხედავად ამისა, ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს. ქ. გორის პირველ საბავშვო ბაღის (გამგე ა. პაპაშვილი) შენობას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი. სახურავიდან წყალი ჩამოდის, ღუმელები შესაკეთებელია, ეზო მოუწესრიგებელია; ბაღს არა აქვს შესაფერისი ჭურჭელი (წყლის გრაფინების ნაცვლად ხმარობენ მინის ქილებს). უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისა და დაწყების საქმეს ქ. გორის მეოთხე საბავშვო ბაღისა და ქ. თბილისის № 1 სანატორული ბაგა-ბაღის გამგეები მ. გოგილაძე და დ. თეთრაძე. ქ. გორის მეოთხე საბავშვო ბაღს რემონტის ჩასატარებლად გამოყოფილ 6,0 ათ. მანეთიდან შემოწმების დღისათვის თანხა სრულებით არ ჰქონდა ათვისებული, ხოლო ქ. თბილისის № 1 სანატორულ ბაგა-ბაღს კი 5,0 ათას მანეთიდან ათვისებული ჰქონდა მხოლოდ 2,0 ათ. მანეთი. ორივე

სკოლამდელ დაწესებულებათა ეზოები მოუწესრიგებელია; ქ. თბი-ლისის № 2 სანატორულ ბაგა-ბაღს არ აქვს ათვისებული მაგარი ინვენტარისათვის გამოყოფილი თანხა, ბაგა-ბაღი არ არის დაკომ-პლექტებული ბავშვთა კონტინგენტით. მუშაობა არ განუახლებიათ დროულად აგრეთვე ქ. თბილისის კალინინის რაიონის მე-13, მე-16-ე, 101-ე და ოქტომბრის რაიონის მე-12, 35-ე, 66-ე, 94-ე და სხვა საბავშვო ბაღებს (გამგეები ე. ხარაძე, ი. კვანჭახიძე, მ. ხუციშვილი, თ. კოზმავა, ლ. ჭანჭალეიშვილი, ვ. მიმინოშვილი, ნ. ლორთქიფანიძე), რითაც უხეშად არის დარღვეული საქართვე-ლოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 23 ნოემბრის № 1049 ბრძანება სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის განახლების ვადების შესახებ.

სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის დროულად დაწყების საქმეში არსებული დარღვევების ძირითადი მიზეზი ის არის, რომ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებანი არ ღებულობენ ქმედით ზომებს, რათა ამ დაწესებულებების შენობის შეკეთება, სასწავლო ნივთებითა და საჭირო ინვენტარით მათი მომარაგება დროულად იქნეს განხორციელებული; ამასთანავე სკოლამდელ დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ამ საქმი-სადმი ზერელე დამოკიდებულებას იჩენს. დიდად ვნებს საქმეს ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ ჯეროვნად არ არის მოგვარებული სკოლამდელი დაწესებულებების სათანადო დგამ-ავეჯით და ჭურ-ჭლით მომარაგების საქმე და არსებული დგამ-ავეჯის შეკეთება.

სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის ორგანიზე-ბულად დაწყების საქმეში სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებ-მა, ს/ო ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლე-ბის განყოფილებებმა სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანე-ლებთან ერთად მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 23 ნოემბრის № 1049 ბრძანება სკოლამ-დელ დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყების ვადების შესა-ხებ; სკოლების თანაბრად დროულად მიიღონ ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა რემონტის ხარისხიანად ჩასატარებლად; უზრუნ-ველყონ სკოლამდელი დაწესებულებები სასწავლო ნივთებით, სათა-მაშოებით, დიდაქტიკური მასალებითა და სპორტული ინვენტარით.

2. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე სკოლამდელი დაწესებულებების დგამ-ავეჯის დამზადებისა-თვის სპეციალიზებული წარმოების შექმნის დაჩქარების შესახებ.

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (უფროსი არველაძე) შექმნას ავეჯის შემკეთებელი ბრიგადები სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების ხის დამუშავების საამქროებთან, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და საბავშვო ბაღების დგამ-ავეჯის შესაკეთებლად.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ ამავე სამმართველოს საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის შესაფერი ჭურჭელი საკმარისი რაოდენობით აქვს გამოყოფილი და სკოლამდელ დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ იგი.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 23 ნოემბრის № 1049 ბრძანების შეუსრულებლობისათვის, რამაც გამოიწვია სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო წლის დაგვიანებით დაწყება, გამოეცხადოთ საყვედური ქ. თბილისის მე-13, 101-ე, ქ. გორის პირველ, მეოთხე საბავშვო ბაღებისა და ქ. თბილისის 1-ლ სანატორული ბაგა-ბაღის გამგეებს ე. ხარაძეს, მ. ხუციშვილს, ა. პაპაშვილს, მ. გოგილაძეს და დ. თეთრაძეს;

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის კალინინის რაიონის მე-16 საბავშვო ბაღის გამგე ი. კვანჭახიძე გათავისუფლებულია სამუშაოდან.

6. გაფრთხილებულ იქნან ქ. თბილისის ლენინის, კალინინის, ოქტომბრის რაიონებისა და ქ. გორის განათლების განყოფილების გამგეები მ. გოგიტაძე, ა. გაჩეჩილაძე, ქ. ჭანიშვილი და ი. ჯამბრიშვილი, რომ მათ სათანადო გულისყური ვერ გამოიჩინეს ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში სასწავლო წლის დროულად დაწყების საქმეში.

7. აღნიშნული ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ყველა განათლების განყოფილებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 14 ნოემბრის ბრძანება № 1216

### მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის მიზეზებისა და მათი აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა დიდ მოძრაობას და განთესვის ხშირ შემთხვევებს; ასე მაგალითად, გასულ, 1963/64 სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მიღებული იქნა 5468, ხოლო სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში 1371 მოსწავლე. ამავე დროის მანძილზე სხვადასხვა მიზეზით გავიდა მუშა ახალგაზრდობის სკოლებიდან 9000 მოსწავლე ე. ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 29,9%, სოფლის ახალგაზრდობის სკოლებიდან კი 3100 მოსწავლე ე. ი. 22,9%.

ამ მხრივ კიდევ უფრო დამაფიქრებელი სურათია რესპუბლიკის ცალკეული ქალაქებისა და რაიონების სკოლებში; ასე, მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონის აშკალის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის 83 მოსწავლიდან სწავლას ჩამოშორდა 50 ახალგაზრდა და სასწავლო წლის ბოლოსათვის ირიცხებოდა მხოლოდ 33 მოსწავლე, ნარდოვანის სკოლის 83 მოსწავლიდან გავიდა 48 მოსწავლე, წლის ბოლოსათვის დარჩა 35. ზნაურის რაიონის ავნევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის 82 მოსწავლიდან სწავლას ჩამოშორდა 62, წლის ბოლოსათვის დარჩა 30 მოსწავლე და ა. შ.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი მუშა ახალგაზრდობის სკოლებშიც. მაგალითად, გასული სასწავლო წლის მანძილზე ქ. სოხუმის მუშა ახალგაზრდობის პირველი სკოლის 565 მოსწავლიდან გავიდა 168, მაგრამ მიღებულ იქნა 84 და საბოლოოდ დარჩა 481 მოსწავლე. დაუსწრებელ სკოლებში ზოგჯერ სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მიღებულ მოსწავლეთა რაოდენობა კიდეც აჭარბებს გასულთა რიცხვს: მუშა ახალგაზრდობის რესპუბლიკუ-

რი დაუსწრებელი სკოლის 1274 მოსწავლიდან გავიდა 347, მაგრამ მიღებულ იქნა 355 მოსწავლე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა ერთი ნაწილი საყოველთაო სავალდებულო სწავლების (16 წლამდე) ასაკისაა; მაგალითად, მუშა ახალგაზრდობის სკოლებიდან გასულთაგან 337 მოსწავლე 16 წლამდეა, მათ შორის განთესილია—240; სოფლის ახალგაზრდობის სკოლებიდან კი გავიდა 79, მათ შორის 67 განითესა.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში საერთოდ ქალების უმნიშვნელო რაოდენობა სწავლობს. მიუხედავად ამისა, სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა საკმაოდ მნიშვნელოვან რიცხვს მაინც ისინი შეადგენენ: გასულ წელს სკოლებიდან გავიდა 1556 ქალი მოსწავლე, მათ შორის სრულიად მიატოვეს სწავლა 1205-მა მოსწავლემ.

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებიდან მოსწავლეთა დიდი რაოდენობით გასვლის გამო ადგილი აქვს ცალკეული კლასების, ზოგჯერ მთელი სკოლების დახურვასაც კი. ასე, მაგალითად, უკანასკნელ წლებში დაიხურა მარნეულის რაიონის ყულარის მუშა ახალგაზრდობის, გალის რაიონის სიდის, ხულოს რაიონის ლეღვას სოფლის ახალგაზრდობისა და სხვ. სკოლები.

ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ხშირად ირღვევა საღამოს (ცვლის) სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესები: სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაოდ მუშაობენ რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე, სწავლებაში ჩასაბმელ კონტინგენტთან. წინასწარ არ აღრიცხავენ მათ, არ უტარებენ ახსნა-განმარტებით მუშაობას, არ ამზადებენ სკოლაში მისაღები გამოცდებისათვის და სხვა. სკოლაში შედიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ფორმალურად ეკიდებიან თავიანთ ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ზრდას, მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ესწრებიან სასწავლო მეცადინეობას, ჩამორჩებიან აკადემიურად და თავს ანებებენ სწავლას.

სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლის ერთ-ერთი მიზეზია ისიც, რომ მათი ერთი ნაწილი ვერ ახერხებს მუშაობის პარალელურად სწავლას. ამ ტიპის სკოლებიდან სამუშაოზე სისტემატური დაკავებულობის გამო გასულ წელს სწავლას ჩამოშორდა 941, ოჯახური მდგომარეობით კი—1205 ახალგაზრდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული გამოწვეულია იმითაც, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლების ხელ-

მძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო კავშირს ახორციელბენ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან. ადგილებზე საჭირო ყურადღება არ ექცევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233, 1962 წლის 27 ივლისის № 773 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 19 დეკემბრის № 976 დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას—სათანადო კლასების მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შემცირებული სამუშაო დროის და გამოცდების ჩასაბარებლად შვებულების მიცემის შესახებ. გასულ წელს სრულიად არ უსარგებლია მთავრობის მიერ დაწესებული კუთვნილი შეღავათებით მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლის 10370 მოსწავლეს.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი. ამ სკოლების მუშაობის საკითხები პერიოდულად გახადონ ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მსჯელობის საგნად;

ბ) სისტემატური საქმიანი კავშირი განახორციელონ შესაბამისი ფაბრიკების, ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებთან მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით უახლოეს დროში დაიყვანონ ყველა წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელამდე და თვითეულ მოსწავლემდე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233, 1962 წლის 27 ივლისის № 773 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 დეკემბრის № 976 დადგენილებანი საღამოს (ცვლის) სკოლების მოსწავლეთათვის დაწესებული შეღავათების შესახებ;

გ) გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელონ საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის ხელშემწყობი მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

დ) პერიოდულად შეისწავლონ სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის მიზეზები და მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა მათ აღსაკვეთად;

ე) მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ა/წ 25 თებერვლის ცირკულარული წერილით საყოველთაო სავალდებულო სწავლების, 16 წლამდე ასაკის მოსწავლეეთა საღამოს (ცვლის) სკოლებში სასწავლებლად გადასვლის შეზღუდვის შესახებ.

2. განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ (ამხ. რ. კანდელაკმა) განახორციელოს მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 13 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 17 ნოემბრის ბრძანება № 1225

### სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში არსებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 23 ოქტომბრის № 646 დადგენილებას სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში არსებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და სკოლა-ინტერნატების, მუშა ახალგაზრდობისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის შემოწმებით დადგენილია, რომ საკლასო ოთახების არანორმალური განათების, მერხების შეუფერებლობისა და სანიტარული ნორმით გათვალისწინებული მინიმუმის დაუცველობის შედეგად, ადგილი აქვს მნიშვნელოვან გადახრებს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობაში.

შემოწმებულ მოსწავლეთა დიდ რაოდენობას აქვს მიდრეკილება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის და ხერხემლის გამრუდებია, რომელიც დაწყებული პირველი კლასიდან შემდეგ კლასებში მატულობს. ასე, მაგალითად, სკოლამდელი ასაკის ყოველ ათას ბავშვზე მკვეთრად გამოხატული სკოლიოზი აღენიშნება 13, 6 ბავშვს. პირველი კლასის ყოველ ათას მოსწავლეზე 37,6 შემთხვევაა, ხოლო 7-დან 16 წლამდე ასაკში—40,1 შემთხვევაა, ზოგიერთ სკოლაში კი ყოველ ათას შემოწმებულ ბავშვიდან მათმა რაოდენობამ 124-დან 180 მდე მიაღწია.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საკლასო ოთახების არადამაკმაყოფილებელი განათების შედეგად საგრძნობლად ზიანდება მოსწავლეთა მხედველობა სკოლაში შესვლის შემდეგ, რაც უფროს კლასებში კიდევ უფრო მეტად იზრდება. მხედველო-

ბის ანომალია 3—7 წლის ასაკის ბავშვებში ყოველ ათას ბავშვზე მერყეობს 3,9-დან 4,6-მდე. პირველ კლასში 11,1-დან 49 შემთხვევამდე, ხოლო 7-დან 16 წლამდე—96-დან 102 შემთხვევამდე.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ხელოვნური განათება არ შეეფერება გათვალისწინებულ ნორმას; განათება მერხზე უდრის 20 ლუქსს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებულ 150 ლუქსისა.

მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობაში არსებული დარღვევებისა და გადახრების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების ადგილობრივ ორგანოებს და სკოლის დირექტორებს განიხილონ და მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და სკოლა-ინტერნატების, მუშა ახალგაზრდობისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებაში არსებულ დარღვევათა და გადახრების უმოკლეს დროში ლიკვიდაციისათვის, რისთვისაც:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა განაწილებას ცვლებს შორის და მერხების განლაგებას საკლასო ოთახებში, აგრეთვე სასკოლო ინვენტარისა და მერხების სავალდებულო მარკირებას მოსწავლეთა ასაკის შესაფერისად;

ბ) დაიცვან საკლასო ოთახებში ნორმით გათვალისწინებული განათება, მაქსიმალურად გამოიყენონ საღამოს სკოლებში ლუმინესცენციური განათება, ხოლო იმ სკოლებში, სადაც განათება ზედმეტია, მიიღონ ზომები სპეციალური ფარდებით მისი შემცირებისათვის დაწესებულ ნორმამდე.

გ) მკაცრად დაიცვან გაკვეთილებს შორის შესვენების ხანგრძლივობა და ფართოდ დანერგონ სკოლებში სამკურნალო ფიზიკური ვარჯიშები;

დ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სამედიცინო პერსონალს დაავადებისა და ანომალიის გამოვლინებასა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარებაში;

ე) დროულად შეიძინონ და მოამარაგონ სკოლები ინვენტარით და მერხებით თანაბარი რაოდენობით, ბიუჯეტში კვარტალურად გათვალისწინებული თანხების ფარგლებში, რათა ადგილი არ ჰქონდეს საავეჯო ფაბრიკებში მზა ნაწარმის ნაშთების დიდი რაოდენობით დაგროვებას;

ვ) შეიმუშაონ რესპუბლიკის სკოლებში მოძველებული, უვარ-

გისი, არასტანდარტული ავეჯისა და მერხების შეცვლის გეგმა და აწარმოონ ამ გეგმით გათვალისწინებული, მოძველებული ინვენტარისა და მერხების თანდათანობით შეცვლა სკოლების მიხედვით;

ზ) უზრუნველყონ არსებულ სკოლებში არასტანდარტული მერხების თანდათანობით გადაკეთება და მოახდინონ მათი გადანაწილება რაიონების შიგნით და ქალაქებში ისე, რომ თითოეული სკოლა მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მისთვის საჭირო ზომისა და ნორმის მერხებით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) სისტემატურად აწარმოოს საქართველოს სსრ ყველა სახის სკოლების მოსწავლეთა ჯანმრთელობის შემოწმება იმ მიზნით, რომ სკოლაში სწავლების პროცესში დაცულ იქნას მოსწავლეთა ნორმალური ფიზიკური განვითარების პირობები და მიაწოდონ შემოწმების მასალები რესპუბლიკის დაინტერესებულ უწყებებს;

ბ) განათლების სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და გაამრავლოს მოსწავლეთა სანიტარული წესების დაცვის მინიმუმი, დაამზადოს სკოლებში საჩვენებელი სტენდები და პლაკატები;

გ) უზრუნველყოს სკოლის სამედიცინო პუნქტები მათთვის საჭირო პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) უზრუნველყოს საქართველოს ყველა სახის სკოლებისათვის, განათლების სამინისტროს დაკვეთის, სასკოლო ინვენტარისა და მერხების დამზადება სტანდარტის დაცვით;

ბ) განიხილოს საკითხი სასკოლო ინვენტარისა და მერხების წარმოების ცენტრალიზაციის შესახებ ორ მსხვილ საწარმოში: თბილისში—აღმოსავლეთ საქართველოს სკოლებისათვის და ქუთაისში—დასავლეთ საქართველოს სკოლებისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ უზრუნველყოს სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ინვენტარისა და მერხების ხარისხიანი შეკეთება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შეკვეთების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების განსახორციელებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს/ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) აღნიშნული ბრძანება განიხილონ კოლეგიისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მის განსახორციელებლად;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გასატარებლად;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ყველა ზომის მიხედვით მერხების შეძენას და კლასებში სწორად მათ განლაგებას, ცვლიანობის სწორ ორგანიზაციას.

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს საინსტრუქციო წერილი სკოლებთან ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის კაბინეტის შექმნის შესახებ და დაუგზავნოს იგი ადგილებს სახელმძღვანელოდ;

ბ) მითითება მისცეს სკოლის ექიმებს სისტემატურად გამოავლინონ ბავშვთა საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისა და ხერხემლის გამრუდების, მხედველობის ანომალიისა და დარღვევათა სხვა შემთხვევები და სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად მიიღონ ზომები მათ გამოსასწორებლად.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) უზრუნველყოს სკოლები და საბავშვო დაწესებულებები საჭირო ავეჯით ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში;

ბ) არ დაუშვას არასტანდარტული და უხარისხო სასკოლო ავეჯის შეზიდვა სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში;

გ) სკოლების სამმართველოსთან ერთად შეიმუშაოს ახალი ტიპის მერხების ნიმუშები და წარმოადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) კურსების სასწავლო გეგმით გაითვალისწინოს ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა მინიმუმი.

5. მინისტრის მოადგილემ მ. ქოჩაკიძემ კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР № 1228 ОТ 18 НОЯБРЯ 1964 ГОДА

### о результатах проверки письма „Кто же в ответе за кадры?", опубликованного в „учительской газете" № 87 от 23 июля 1964 года

В „Учительской газете" № 87 от 23 июля 1964 года было опубликовано письмо рейдовой бригады (Л. Тваури, А. Мелкоев, С. Тарханова, Г. Смагина) „Кто же в ответе за кадры?"

В письме отмечается, что Бабушерская школа-интернат Гульрипшского района Абхазской АССР была открыта без соответствующей материальной базы, неправильно была укомплектована педагогическими кадрами; в школе-интернате неудовлетворительно осуществлялся внутришкольный контроль. Директор школы-интерната И. М. Гобечия—полковник в отставке—не соответствовал своему назначению, а заведующей учебной частью была назначена Гунцадзе, не имеющая достаточного педагогического опыта.

Далее в письме отмечается, что серьезные недостатки имели место и в Гупской средней школе Очамчирского района, где директором был назначен Л. М. Псардия, который долгое время работал не на педагогической работе.

В Пицундской вечерней школе рабочей молодежи Гудаутского района были выявлены нарушения—директор школы В. Л. Джохадзе выдавал фиктивные аттестаты лицам, которые никогда не учились в этой школе.

В письме говорится также, что в школах Абхазской АССР часто меняются директора и заведующие учебной частью.

Проверка и изучение на месте фактов, приведенных в письме показали, что вышеуказанные недостатки и нарушения в Бабушерской, Гупской и Пицундской школах действительно имели место.

Старое руководство Бабушерской школы-интерната—дирек-

тор и завуч освобождены от занимаемых должностей. На их места подобраны лица, имеющие высшее педагогическое образование, достаточный опыт работы и способные руководить школой.

Устранены недостатки в учебно-воспитательной работе в Гупской школе и созданы условия для нормальной работы.

Что касается серьезных нарушений, которые имели место в Пицундской вечерней школе рабочей молодежи, то материалы проверки этой школы переданы следственным органам, бывший директор школы В. Л. Джохадзе и другие виновные лица привлечены к уголовной ответственности.

Проверка показала также, что несмотря на то, что школы Абхазской АССР, в основном укомплектованы педагогическими кадрами соответствующей квалификации, все же в некоторых школах, в особенности, в сельских местностях по таким предметам, как математика, физика, химия и др. работают учителя, не имеющие соответствующего образования. Между тем из окончивших Сухумский педагогический институт в 1964 году 108 человек, оставленных в распоряжении Министерства просвещения Абхазской АССР, 36 человек не явились на работу.

Недостаточное внимание уделяется мероприятиям по повышению идейно-политического уровня и профессионального мастерства учителей и других работников школ. Абхазский филиал Института усовершенствования учителей не выполняет плана переподготовки педагогов.

Неудовлетворительно ведется учет педагогических кадров, как в аппарате Министерства просвещения, так и в районных отделах народного образования и некоторых школах (в личных делах отсутствуют некоторые документы, не все изменения в работе педагогических кадров заносятся своевременно в трудовые книжки).

П р и к а з ы в а ю:

1. Министру просвещения Абхазской АССР (тов. Тарба Б. Г.)

а) наметить и осуществить мероприятия по подбору и выдвижению директоров и заведующих учебной частью школ из числа лиц, пользующихся высоким авторитетом среди учителей и способных соответственно направлять работу педагогических коллек-

тивов для успешного выполнения поставленных перед школой новых задач;

б) коренным образом улучшить инспектирование школ, вовлечь в это дело общественных инспекторов и методический актив из числа опытных и высококвалифицированных учителей; повысить ответственность руководителей школ и учителей для улучшения учебно-воспитательной работы и укрепления сознательной дисциплины в школе;

в) систематически изучать вопросы работы с педагогическими кадрами и проводить мероприятия по повышению идейно-политического уровня и профессионального мастерства учителей и других работников народного просвещения; при работе с педагогическими кадрами руководствоваться приказами и постановлениями, принятыми по этому вопросу Министерством просвещения Грузинской ССР и президиумом республиканского комитета профсоюза;

г) принять меры по вовлечению в заочное обучение тех учителей, которые работают в школах и не имеют высшего педагогического образования; осуществить систематический контроль над выполнением ими учебных планов и оказать помощь в деле совмещения работы в школе с учебой.

д) навести порядок в деле учета учителей и других работников народного образования как в аппарате Министерства, так и в городских, районных отделах и школах в соответствии с существующей инструкцией;

е) принять меры по изжитию сменяемости педагогических кадров в школах и закреплению их на местах, неустанно заботиться о создании жилищных и бытовых условий учителей; с помощью местных партийных и советских органов обеспечить выполнение льгот и преимуществ, установленных постановлением правительства для работников просвещения.

2. Отделу кадров Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Квачадзе И.) усилить требовательность в деле подбора, использования и воспитания педагогических кадров органами народного просвещения Абхазской АССР, оказывать помощь Министерству Абхазской АССР в деле укомплектования и пополнения школ республики высококвалифицированными педагогическими кадрами и установить контроль над осуществлением

существующего порядка подбора, назначения, перевода и освобождения педагогических кадров.

**Основание:** Решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 13 ноября 1964 года.

Министр просвещения
Грузинской ССР Т. **Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 18 ნოემბრის ბრძანება № 1230

## მოსწავლეთა მესამე საკავშირო-ზონალურ სპარტაკიადაზე საქართველოს სსრ მოსწავლე-წყალბურთელთა ნაკრებ გუნდში გადაზრდილი ასაკის მონაწილის შეყვანის შესახებ

მიმდინარე წლის ივლისში ქ. ტალინში ჩატარდა მოსწავლეთა მესამე საკავშირო ზონალური სპარტაკიადა, სადაც საქართველოს სსრ მოსწავლეთა კოლექტივი წარმატებით გამოვიდა და საერთო პირველი ადგილი დაიკავა.

შეჯიბრების დაწყების წინ გამოვლინდა, რომ რესპუბლიკის მოსწავლე-წყალბურთელთა ნაკრებ გუნდში, მისი უფროსი მწვრთნელის ვ. ბარნაბიშვილის მიერ შეყვანილი იყო გადაზრდილი ასაკის მონაწილე, 1945 წ. დაბადებული ომარ ასლანის ძე ვორონინი (ო. ვორონინმა 1964 წ. დაამთავრა ქ. თბილისის 43-ე საშ. სკოლა).

ამის გამო ო. ვორონინი გამოყვანილი იქნა გუნდის შემადგენლობიდან, სპარტაკიადის მსაჯთა კოლეგიამ მის ნაცვლად სხვა მონაწილე არ დაუშვა და წყალბურთელთა გუნდს შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება მოუხდა ცხრა წევრის შემადგენლობით, ნაცვლად ათი წევრისა. უფროსი მწვრთნელი ვ. ბარნაბიშვილი, სპარტაკიადის მსვლელობის დროს, გადაყენებული იქნა გუნდის ხელმძღვანელობიდან და მის ნაცვლად მოსწავლე-წყალბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობა დაევალა მწვრთნელ გოიაშვილს.

განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორმა დ. კინწურაშვილმა და ამავე სპორტული სკოლის ნაკრები გუნდების განყოფილების გამგემ მ. ბერიევმა, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ საკავშირო-ზონალური სპარტაკიადისათვის მოსწავლეთა ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და მონაწილეთა დოკუმენტაციის შემოწმება, ო. ვორონინის საბუთების გასინჯვის დროს, დაადგინეს, რომ მის პასპორტში დაბადების წელი 1945 გადასწორებულია 1946-ად. ამის გამო მათ წინადადება მისცეს ვ. ბარნაბიშვილს არ ჩაერიცხა ო. ვორონინი ნაკრები გუნდის წევრად, რაც ვ. ბარნაბიშვილის მიერ არ იქნა

შესრულებული. დ. კინწურაშვილი და მ. ბერიევი მხოლოდ ამით დაკმაყოფილდნენ და არ მიიღეს ქმედითი ზომები, რომ ო. ვორონინი არ ყოფილიყო შეყვანილი ნაკრებ გუნდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოსწავლეთა მესამე საკავშირო-ზონალურ სპარტაკიადაზე რესპუბლიკის წყალბურთელთა ნაკრებ გუნდში გადაზრდილი ასაკის მონაწილის მოტყუებით შეყვანისათვის განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ბავშვთა სპორტული სკოლის ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელი ვ. გ. ბარნაბიშვილი მოიხსნას სამუშაოდან.

2. სათანადო ზომების მიუღებლობისათვის, რის შედეგადაც მოსწავლე-წყალბურთელთა ნაკრებ გუნდში შეყვანილი იქნა მოტყუებით გადაზრდილი ასაკის მონაწილე, განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორს დ. კინწურაშვილს და ამავე სპორტული სკოლის ნაკრები გუნდების განყოფილების გამგეს მ. ბერიევს გამოეცხადოთ საყვედური.

3. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (გ. მერკვილაძე) გააძლიეროს კონტროლი ნაკრები გუნდების დაკომპლექტებაზე, მიიღოს მკაცრი ზომები მსგავსი ანტიპედაგოგიური გამოვლინებების აღმოსაფხვრელად.

4. ეს ბრძანება გაეცნოს განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტული სკოლების ყველა მუშაკს და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 13 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 30 ნოემბრის ბრძანება № 1280

### განათლების მუშაკთა ხელფასის გადიდებასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 15 ივლისის № 620 დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ყველა ტიპისა და სახელწოდების სკოლა-ინტერნატებში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, მეთოდურ კაბინეტებში, სკოლის გარეშე დაწესებულებებში სასწავლო ნაწილის გამგეების, სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგეების, საწარმოო სწავლების დარგში სასწავლო ნაწილის გამგეების თანამდებობების სახელწოდება შეიცვალოს დირექტორის მოადგილით სასწავლო მუშაობის, სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობისა და საწარმოო სწავლების დარგში;

2. დაწყებითი სკოლების გამგეებს, სადაც 240-ზე მეტი მოსწავლეა და სკოლისგარეშე დაწესებულებების გამგეებს ეწოდოს დირექტორები.

3. სკოლამდე ასაკის აღზრდის დაწესებულებებში პედაგოგაღმზრდელებს ეწოდოს აღმზრდელები;

4. შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების დღიდან იმ სკოლებში, სადაც 20-მდე კლასია და შემოღებულია მეცადინეობა შრომაში, შემცირდეს სასწავლო სახელოსნოს ოსტატის თანამდებობა.

5. შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების დღიდან სკოლებში 13-მდე კლასით შემცირდეს საქმისმწარმოებლის თანამდებობა;

6. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, სადაც

მოსწავლეთა რიცხვი ოთხმოცამდეა დირექტორის თანამდებობა არ წესდება;

7. შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებისა და ხელფასების განაკვეთების დადგენის დროს მასწავლებლების, აღმზრდელებისა და განათლების სხვა მუშაკების პედაგოგიური მუშაობის სტაჟის გამოანგარიშება ახალი ინსტრუქციის შესაბამისად წარმოებდეს 1965 წლის 1 სექტემბრიდან.

8. განათლების იმ მუშაკთა პედაგოგიური სტაჟის გამოანგარიშება, რომელთა ხელფასის განაკვეთებისა და თანამდებობრივი განაკვეთების ოდენობა წინათ განისაზღვრებოდა მიუხედავად პედაგოგიური მუშაობის სტაჟისა, წარმოებდეს ახალი ინსტრუქციის შესაბამისად შრომის ანაზღაურების ახალი პირობების მომენტიდან.

9. სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დირექტორებისა და მოადგილეების თანამდებობრივი განაკვეთების დადგენა წარმოებდეს პედაგოგიური სტაჟის მიხედვით 1964 წლის 1 ნოემბრიდან;

10. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ამხ. დ. კვაჭაძემ, ი. ჭანტურიამ) განათლების მუშაკთა ხელფასის გადიდებასთან დაკავშირებით წარუდგინოს ხელფასის დამატებითი ფონდის საჭირო დაანგარიშებანი საქართველოს სსრ საგეგმო კომისიასა და ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Утверждаю"
Министр просвещения
Грузинской ССР
Т. Лашкарашвили
14 ноября 1964 г.

„Утверждаю"
Министр охраны
общественного порядка ГССР
О. Кавтарадзе
24 ноября 1964 г.

# ПОЛОЖЕНИЕ

## о вечерних общеобразовательных школах исправительно-трудовых учреждений МООП Грузинской ССР

### I. Общие положения

1. В исправительно-трудовых учреждениях МООП Грузинской ССР, в целях повышения общеобразовательного уровня осужденных, организуются при наличии материальной базы вечерние начальные, восьмилетние и средние общеобразовательные школы рабочей и сельской молодежи. Их работа проводится в сочетании с профессионально-техническим обучением и подчинена главной задаче—перевоспитанию и исправлению осужденных.

2. Для всех, не имеющих восьмилетнего образования обучение является обязательным; обязательное обучение неграмотных и малограмотных заключенных организуются в объеме 4-х классов. Исключение составляют заключенные старше 50 лет и инвалиды I и II групп. Для них обучение является необязательным и организуются на добровольных началах.

Получившим определенное образование заключенным выдаются документы установленного для всех общеобразовательных школ образца.

3. Организация работы школ, учительских коллективов и успеваемость заключенных проверяется органами народного образования и руководством мест заключения; руководство исправительно-трудовых учреждений должно, кроме того, оказывать всемерную помощь руководителям школ и обеспечивать посещаемость и дисциплину обучающихся заключенных.

4. Преподавательский состав школ должен тесно сотрудничать с работниками исправительно-трудовых учреждений и, пользуясь имеющимися в их ведении правами и средствами, добиваться основной цели—перевоспитания заключенных. Особенно большое внимание следует уделять внеклассной работе, прививать заключенным любовь к труду и уважение к нормам социалистической жизни.

5. Администрация исправительно-трудовых учреждений подробно знакомит педагогов школы со всеми формами и методами политико-воспитательной работы, проводимой с заключенными и тем самим помогает им стать активными исполнителями поставленных перед ними задач.

6. Заключенные обучаются в общеобразовательных школах без отрыва от производства.

7. Общеобразовательные школы в исправительно-трудовых учреждениях МООП Грузинской ССР создаются и реорганизуются органами народного образования совместно с администрацией исправительно-трудовых учреждений.

8. Обучение в школах ведется по учебным планам и программам вечерних (сменных) общеобразовательных школ, утвержденных Министерством просвещения Грузинской ССР.

9. Отделы народного образования подбирают преподавательский состав (для мужских колоний—в основном мужчин, для женских колоний—в основном женщин) и обеспечивают школы необходимой документацией.

10. Администрация исправительно-трудового учреждения обеспечивает школы помещением и инвентарем, а учащихся—учебниками, тетрадями и другими письменными принадлежностями.

Начальники колоний и их заместители по политико-воспитательной работе несут ответственность за подготовку школьных помещений к новому учебному году и за обязательное обучение заключенных. Политработники ведут учет заключенных, не имеющих соответствующего образования, а также проводят разъяснительную работу среди всех осужденных о необходимости повышения их общеобразовательного уровня.

11. Для ведения организационной работы используются самодеятельные организации заключенных, актив.

## II. Организация обучения

12. Занятия в школах организуются по сменам в нерабочее время с учетом производственной работы.

13. Первые-пятые классы открываются при наличии 25 учащихся в классе, а девятые классы при наличии 20 учащихся в классе; для учащихся создаются отдельные классы—грузинским и русским языком преподавания.

14. Продолжительность учебного года устанавливается в намеченные Министерством просвещения грузинской ССР для вечерних (сменных) общеобразовательных школ сроки; переводные и выпускные экзамены и экзамены на аттестат о среднем образовании проводятся согласно инструкции Министерства просвещения Грузинской ССР.

15. Каникулы в школах устанавливаются на основе указания Министерства просвещения для вечерних (сменных) школ без освобождения учащихся от работы.

16. Знания учащихся систематически проверяются в школе путем опроса заданного материала, путем классных и домашних письменных работ по пятибалльной системе, установленной для всех общеобразовательных школ.

## III. Учащиеся

17. В общеобразовательные школы исправительно-трудовых учреждений направляются лица из числа заключенных.

18. Учащиеся направляются во все классы ежегодно. Учащихся могут приниматься в школу перед началом учебного года или в течение первого полугодия.

В целях охвата большего числа заключенных, пожилых и инвалидов I и II групп, руководители подразделений ведут разъяснительную работу среди заключенных, проводятся консультации для тех, кто не имеет соответствующих документов об образовании и желает сдавать экзамени для зачисления в тот или иной класс.

19. Списки обязанных учиться заключенных, а также заявления заключенных инвалидов I и II групп представляются начальниками отрядов колоний директору, заведующему учебной частью школы.

20. Экзамены для зачисления в соответствующие классы

проводятся в установленном Министерством просвещения Грузинской ССР порядке.

5. ორჯონიკიძე პავლე ალექსანდრეს ძე—სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი
6. დევდარიანი გიორგი მიხეილის ძე—რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი
7. სოხაძე პეტრე კონსტანტინეს ძე—დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორი
8. ქავთარაშვილი პელაგია სტეფანეს ასული—გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
9. ნატროშვილი არჩილ ნიკოლოზის ძე—მარტყოფის საშუალო სკოლის დირექტორი

10. ქარცივაძე ალექსანდრა ვლადიმერის ასული—დიდი ლილოს საშუალო სკოლის დირექტორი

11. სანიკიძე შოთა იოსების ძე—დილმის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

12. ლეკიშვილი გიორგი ივანეს ძე—მარტყოფის საშუალო სკოლის მასწავლებელი

13. წიკლაური გაბრიელ სიმონის ძე—ლიხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

ქ. თბილისიდან:

1. ავალიანი მარიამ დომენტის ასული—№ 6 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი

2. ბელტიხინი თენგიზ ეფრემის ძე—პარტიის კიროვის სახ. რაიკომის პირველი მდივანი

3. გახოკიძე ნიკოლოზ ოქროპირის ძე

4. გაჩეჩილაძე ვახტანგი მაქსიმეს ძე—უსინათლოთა რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე

5. გვერდწითელი მიხეილ პავლეს ძე—26 კომ. სახელობის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი

6. დუნდუა პეტრე ბესარიონის ძე—საავეჯო გაერთიანება „განთიადის" დირექტორი

7. ვაშაკიძე პავლე სერგოს ძე—საინსტრუმენტო ქარხნის დირექტორი

8. კიზივაძე ნიკოლოზ სევერიანის ძე—ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორი

9. კორშია ალექსანდრე ვარლამის ძე—26 კომ. სახ. რაიაღმასკომის თავმჯდომარე

10. მოსაშვილი თეიმურაზ ილიას ძე—26 კომ. სახ. რაიკომის პირველი მდივანი

11. მუსიევა ნინო ნურიელის ასული—„მთავართბილმშენის № 11 სამშენებლო სამმართველოს უფროსი

12. ტაგანაშვილი ბიქტორი გიორგის ძე—ა/კ რკინიგზის № 131 სამშენებლო სამმართველოს უფროსი

13. ხურციძე გრიგოლ გიტოს ძე — ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილე

14. ჩხეიძე მიხეილ ფილიპეს ძე—ფეხსაცმელების საწარმოო გაერთიანება „ისანის" დირექტორი

15. ხარაძე ევგენი კირილეს ძე—თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის რექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დაჯილდოვდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქების სიგელით შემდეგი ამხანაგები:**

აფხაზეთის ასსრ-დან:

1. ჩხეტია მიხეილ სპირიდონის ძე—ჭუბურხინჯის კოლმეურნეობა „მეგობრობის" გამგეობის თავმჯდომარე
2. ჩაჩიბაია გრიგოლ დუტუს ძე—აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი
3. ელიავა კაპიტონ ბეგლარის ძე—მუხურის ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე
4. კაკუბავა მამანტი ეგნატეს ძე—ფუმურიშის ფარფალიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
5. ეზუგბაია ტერენტი აბასის ძე—მზიურის რვაწლიანი სკოლის დირექტორი
6. აქუბარდია იპოლიტე როსტომის ძე—ჭუბურხინჯის რვაწლიანი სკოლის დირექტორი
7. ცინდელიანი აკაკი ომარის ძე—საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
8. შონია ბიქტორ მიხეილის ძე—საბერიოს საშუალო სკოლის დირექტორი
9. ხორავა სერგო ხუხუტის ძე—განათლების მუშაკთა პროფკავშირის გალის რაიკომის თავმჯდომარე
10. ძანძავა კიკი ანდრიას ძე—მშრომელთა დეპუტატების გალის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

აჭარის ასსრ-დან

ქობულეთის რაიონი

1. დიღმანიძე შოთა ისაკის ძე—მარადიდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
2. კვირიტაძე ჯემალ ახმედის ძე—ურეხის საშუალო სკოლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე

3. მემარნიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე—ზემო სამების რვაწლიანი სკოლის დირექტორი

4. ჯიხაძე მერაბ მამუდის ძე—მარადიდის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

5. ნოღაიდელი დურსუნ ოსმანის ძე—ჭახათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

6. ზაქარაძე სერვეთ შუქრის ძე—თხილნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

7. მახაძე შაქრო ოსმანის ძე—ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

8. ცისკარიძე სერგო ბესარიონის ძე—აჭარის წყალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

9. ჯინჭარაძე რევაზ ხუსეინის ძე—ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

10. კირკიტაძე ამირან უსუფის ძე—ჩიქუნეთის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

11. კახიძე ჰაიდარ სულეიმანის ძე—ჩხუტუნეთის საშუალო სკოლის დირექტორი

12. მახარაძე დავით ნურის ძე—კირნათის სკოლა-ინტერნატის დირექტორი

13. გოგუაძე ზურაბ ყედირის ძე—გორგაძეების რვაწლიანი სკოლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე

14. ჩხიკვიშვილი დავით ალექსანდრეს ძე—ქობულეთის რაიონის განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე

ქ. ქობულეთი

1. კვერენჩხილაძე კონსტანტინე ნოეს ძე—№ 1 საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე

2. ნაკაშიძე იუსუფ ხუშუტის ძე—„ვილარის" საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

ქედის რაიონი

1. ნაკაიძე მემედ ოსმანის ძე—სოფ. გობრონიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. ჩიკვაიძე ხასან ხუსეინის ძე—სოფ. ვაიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე

3. მახარაძე რეჯებ მუსას ძე—1-ლი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ფარტენაძე ყედირ ბარათალის ძე—ოსტატი
5. გოგუაძე მემედ დურსუნის ძე—ოსტატი

ხულოს რაიონი

1. ბერიძე ხუსეინ მაირის ძე—ლაკლაკეთის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი
2. აბუსელიძე ოსმან—უჩამბის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
3. ფუტკარაძე ვლადიმერ—პაპოშვილების კოლმეურნეობის თავმჯდომარე
4. ფუტკარაძე შუქრი—დღვანის ხე-ტყის სახერხი ქარხნის დირექტორი
5. მარკოიძე ოთარ—აგარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
6. მელაძე ალიოსმან მუხამედის ძე—პაქსაძეების რვაწლიანი სკოლის მშენებლობის ბრიგადირი
7. ჯაყელი ლევან ხულუსის ძე—დიოკნისის საშუალო სკოლის დირექტორი

ქ. ზუგდიდიდან:

1. ფაცაცია ოთარი ამბაკოს ძე—ზუგდიდის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი
2. მაქაცარია გიორგი თადას ძე—ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
3. ბულია გიორგი იონას ძე—ზუგდიდის სამრეწველო-საწარმოო პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი
4. გრიგოლია ალექსანდრე ძუკუს ძე — ენგურსპეცმშენის სამმართველოს საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი
5. ამაღლობელი ბორის პარმენის ძე — ენგურჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინერი
6. გოგიაშვილი ალექსანდრე იურის ძე — ენგურჰესის მშენებლობის დირექციის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი
8- ხუბულავა შოთა ალექსის ძე—ქ. ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი
9. ჩხოლარია გოგოლა ელგუჯას ასული—ქ. ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი
10. თირქია კარლო პროკოფის ძე—ქ. ზუგდიდის მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორი

11. კვარაცხელია ქიონია გიორგის ასული—განათლების მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე

12. გრიგოლაია გივი ვარლამის ძე—სააღმშენებლო სამმართველო № 7-ის სამუშაოთა მწარმოებელი

13. ესართია დომენტი იულონის ძე—სააღმშენებლო სამმართველო № 7-ის სამუშაოთა მწარმოებელი

14. ჭანტურია გივი ივანეს ძე—სააღმშენებლო სამმართველო № 7-ის რკინაბეტონის კვანძის უფროსი

15. აკობია პაშუში ტარასის ასული—ქ. ზუგდიდის მე-10 საბავშვო ბაღის გამგე

16. ქირია ნათელა იასონის ასული—ზუგდიდის მე-14 საბავშვო ბაღის გამგე

17. ცხადაია ლოლა თეიმურაზის ასული—ქ. ზუგდიდის მე-9 საბავშვო ბაღის გამგე

18. ჭიჭონაია კონდრატე მიხეილის ძე—ზუგდიდის კომუნალური მეურნეობის კომბინატის დირექტორი

19. ქირია ავთანდილ იასონის ძე—ქ. ზუგდიდის მეთხე სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი

20. მიქაია კარლო კირილეს ძე—ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგე

ზუგდიდის რაიონიდან:

1. ქვარცხავა აკაკი კონსტანტინეს ძე—საქართველოს კპ ზუგდიდის სასოფლო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი

2. ქანთარია იროდი იულონის ძე—რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

3. წურწუმია ალექსანდრე სოლომონის ძე—პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე

4. ჩიქავა იოსებ ლავრენტის ძე—პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე

5. ქეჟია ანტიფო მარკოზის ძე—საწარმოო სამმართველოს უფროსი

6. გუნავა გურამი იოსების ძე—კომკავშირის კომიტეტის მდივანი

7. ბულია ანდრო ოთარის ძე—სმუ № 7-ის უფროსი

8. ქირია ჯუმბერ დომენტის ძე—ხობის სარემონტო კანტორის ინჟინერი

9. სურმავა ნიკოლოზ გალაქტიონის ძე — ხობის სარემონტო კანტორის უფროსი

10. ხუფენია ვალიკო ნიკოლოზის ძე—დარჩელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

11. ჭეჟია სევერიანე მიხეილის ძე—კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

12. თორდია ილია ალექსანდრეს ძე—კორცხელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

13. საჯაია ამბროსი პავლეს ძე—განმუხურის საშუალო სკოლის დირექტორი

14. ესებუა ნიკოლოზ ფარნას ძე—ინგირის რუსული რვაწლიანი სკოლის დირექტორი

15. ხარებავა შალვა სპირიდონის ძე—განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

16. მანია ვლადიმერ სპირიდონის ძე—განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე

17. გრიგოლაია ჯულიეტა კირილეს ასული—განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტი

18. ბალათურია ხუტა ელიზბარის ძე—ინგირის სკოლა-ინტერნატის დირექტორი

19. მირცხულავა ნორა პორფილეს ასული—ახალსოფლის საშუალო სკოლის დირექტორი

20. ნაყოფია მელენტი მიხეილის ძე—ტელმანის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

21. ახალაია პართენ გიორგის ძე—ზუმის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

22. თოლორაია დავით ნესტორის ძე—კიროვის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი

23. შამუტია ვალერიან ნიკოლოზის ძე—ინგირის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

ლანჩხუთის რაიონიდან:

1. თავართქილაძე ზინა ელიზბარის ასული—ღრმაღელის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

მახარაძის რაიონი

1. მოქია სიმონ მიხეილის ძე—მთისპირის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

2. ცქიტიშვილი ავთანდილ ვლადიმერის ძე—მთისპირის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

3. შილაკაძე ნადია სამსონის ასული—წითელმთის დაწყებითი სკოლის გამგე

4. ერქომაიშვილი ანდრო ყარამანის ძე—წითელმთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

5. მდინარაძე დანიელ ამბაკოს ძე—ვაკიჯვრის საშუალო სკოლის დირექტორი

6. მდინარაძე აგია ჯიმშეთის ძე—ვაკიჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

7. ჩხარტიშვილი მიხეილ ივანეს ძე—ფამფალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

8. ორაგველიძე მიხეილ ფილიპეს ძე—შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

9. ჭანუყვაძე ქეთევან ლუკას ასული—შემოქმედის საშუალო სკოლის დირექტორი

10. მჟავანაძე გური ნანიკის ძე—ლიხაურის საშუალო სკოლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე

11. თოდრაძე მერი შალვას ასული—შემოქმედის საშუალო სკოლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე

12. სიამაშვილი აკაკი ხარიტონის ძე—ვაკიჯვრის საშუალო სკოლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე

13. თოიძე აქვსენტი თეიმურაზის ძე—მახარაძის მუშა ახალგაზრდობის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი

14. მდინარაძე დავით შალვას ძე—შემოქმედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

გურჯაანის რაიონიდან:

1. იაშვილი მიხეილ ილიას ძე—სოფ. ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. არევაძე ვაჟა გიორგის ძე—სოფ. შაშიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

3. იაკობაშვილი ელგუჯა სოლომონის ძე—ქ. გურჯაანის სარემონტო კანტორის უფროსი

4. სამნიაშვილი გაიოზ გიორგის ძე—საკოლმეურნეობათაშორისო საამშენებლო საბჭოს თავმჯდომარე

5. მარტაშვილი გიორგი ლევანის ძე—რაიკოოპკავშირის საყოფახოვრებო მომსახურების კომბინატის დირექტორი

6. მღებრიშვილი ტიგრან ალექსანდრეს ძე—ვაზისუბნის საშუალო სკოლის ახალი სასკოლო შენობის მშენებლობის სამუშაოთა

მწარმოებელი, საკოლმეურნეობათაშორისო საალმშენებლო საბჭოს ტექნიკი

7. ოგანოვი იოსებ ივანეს ძე—სოფ. შაშიანის საშუალო სკო- ლის ახალი სასკოლო შენობის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოე- ბელი, საკოლმეურნეობათაშორისო საალმშენებლო საბჭოს ინ- ჟინერი

8. არაქელოვი ლევან სიმონის ძე—სოფ. ჩუმლაყის საშუალო სკოლის შენობაზე საკლასო ოთახების მიშენების სამუშაოთა მწარ- მოებელი, გურჯაანის სარემონტო კანტორის ტექნიკი.

წალენჯიხის რაიონიდან:

1. შონია დავით სოლომონის ძე—ჭალის კიროვის სახ. კოლ- მეურნეობის თავ-რე

2. კაკაჩია ვალიკო თეოფანეს ძე—საკალანდიოს დაწყებითი სკოლის გამგე

3. კონჯარია აკაკი გრიგოლის ძე—სამესხიოს რვაწლიანი სკოლის დირექტორი.

წყალტუბოს რაიონიდან:

1. გვიშიანი პეტრე გრიგოლის ძე—გუმბრის პირველი რვა- წლიანი სკოლის დირექტორი

2. ნამგალაძე არქიპო ნესტორის ძე—მაღლაკის საშუალო სკო- ლის დირექტორი

3. გვეტაძე პიმენ ონისიმეს ძე—ჯვარისის საშუალო სკოლის დირექტორი

4. სვირიდოვა ვალენტინა კიმოთეს ასული—ფარცხანაყანევის რუსული რვაწლიანი სკოლის დირექტორი

5. კუბლაშვილი სერგო რომანოზის ძე—დაბაძვლის რვაწლია- ნი სკოლის დირექტორი

6. იოსელიანი გიორგი სერაპიონის ძე—ქვილიშორის რვა- წლიანი სკოლის დირექტორი

7. კინწურაშვილი ქსენია ტარასის ასული—წყალტუბოს სა- შუალო სკოლის დირექტორი

ცხაკაიას რაიონიდან:

1. გოგინავა იონა ბაგრატის ძე—უშაფათის საშუალო სკოლის დირექტორი

2. ჩიქოვანი ლუდუკი დათას ძე—მეორე მუხურის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

3. დიხამინჯია დავით ილიას ძე—მეორე ჭოლის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

4. წახნაკია ვალერიან დავითის ძე—პირველი მოიდანახის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

5. ჯოჯუა ვლადიმერ მიხეილის ძე—ცხაკაიას ხე-ტყის სარეალიზაციო ბაზის დირექტორი

6. თოდუა ქეთო ალექსის ასული—ნოსირის საშუალო სკოლის დირექტორი

7. გაგუა ნოე იონას ძე—ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

8. ცხვიტავა ნოე ალექსის ძე—მენჯის ახალსენაკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

9. გოგინავა პარმენ ლუკას ძე—ცხაკაიას მეხუთე საშუალო სკოლის დირექტორი

10. განგია ვარლამ უშანგის ძე—ცხაკაიას მესამე საშუალო სკოლის დირექტორი

11. ყურაშვილი მამანტი ილიკოს ძე—დაბა ჩხოროწყუს რვაწლიანი სკოლის დირექტორი

12. ჩიქოვანი კალისტრატე ეგის ძე—მუხურის საშუალო სკოლის დირექტორი

13. ბალათურია კალისტრატე ტარასის ძე—ცხაკაიას საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი

14. ძაძამია აკაკი ლევარსის ძე—ცხაკაიას საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე

15. შარტავა კალისტრატე თეოფანეს ძე—ცხაკაიას განათლების განყოფილების გამგე

თელავის რაიონიდან:

1. გიორგანაშვილი მიხეილ დავითის ძე— კურდღელაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. ხოსმაზარაშვილი გურამი ალექსის ძე—ქვედა ხოდაშნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ქ. ზესტაფონიდან:

1. კუპატაძე ბაბო სპირიდონის ასული—ქ. ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი

2. ქველიძე გედევან ბიქტორის ძე—ზესტაფონის საქალაქო

საბჭოს აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო კანტორის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის რაიონიდან:

1. ჯაფარიძე ალექსანდრე სამსონის ძე—ზედა საზანოს საშუალო სკოლის დირექტორი

2. ნუცუბიძე ელგუჯა ივანეს ძე—ძირულის საშუალო სკოლის დირექტორი

3. დოლაკიძე რაფიელ თომას ძე—თერჯოლის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში

4. ჭანტურიძე მიხეილ დავითის ძე—ზედა საზანოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

5. ნემსაძე ივლიანე გრიგოლის ძე—თუზის საშუალო სკოლის დირექტორი

6. გურული ლევან მელიტონის ძე—ქვედა საქარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

საგარეჯოს რაიონიდან:

1. ასრათაშვილი ვალერიან დიმიტრის ძე—ნინოწმინდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. ალიევი ამით ალიოღლი—იორმუღანლოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

3. ალიევი ალი ასან ოღლი—დუზაგრამის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

4. არაბოვი ვასილ თედორეს ძე—ბოგდანოვკის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

5. ბალაშვილი ოთარი ალექსის ძე—ბადიაურის ღვინის ქარხნის დირექტორი

6. გოდერძიშვილი გიორგი ზაქარიას ძე—ჩაილურის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

7. გურგენიძე ანტონ ნიკოლოზის ძე—ჩაილურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

8. დათუნაშვილი ლაზარე ნიკოლოზის ძე—წყაროსთავის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

9. ელერდაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე—საგარეჯოს № 2 საშუალო სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე

10. ზირაქიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე— ბოგდანოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

11. თათარიშვილი ვალერიან იოსების ძე— პატარძეულის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. თულაშვილი კონსტანტინე დავითის ძე—სამგორმშენის მეხუთე უბნის უფროსი

13. მალასიძე გიორგი ნიკოლოზის ძე—მანავის უბნის მეტყევე

14. მანდარია მიხეილ ინდიკოს ძე—საგარეჯოს პირველი საშუალო სკოლის დირექტორი

15. მეიფარიანი მარიამ ალექსანდრეს ასული—საგარეჯოს მეორე საშუალო სკოლის დირექტორი

16. მემარნიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე—დაბა ჩაილურის რვაწლიანი სკოლის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე

17. მირზაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე—მანავის დაწყებითი სკოლის გამგე

18. ნოზაძე გიორგი ივანეს ძე—უჯარმის რვაწლიანი სკოლის დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში

19. სამხთუაშვილი მარიამ ნიკოლოზის ასული—ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

20. სიბოშვილი შალვა ივანეს ძე—სამგორმშენის მეოთხე უბნის უფროსი

21. ქევხიშვილი ლევან ივანეს ძე—მანავის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

22. ქურდოვანიძე ელიზბარ პეტრეს ძე—საგარეჯოს სარემონტო კანტორის უფროსი

23. შუბაშვილი სიმონ კონსტანტინეს ძე—საგარეჯოს სარემონტო კანტორის მთავარი ინჟინერი

24. ხამხაძე ელენე სერგოს ასული—თოხლიაურის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

წულუკიძის რაიონიდან:

1. მგელაძე კ. მ.—„საქსოფლტექნიკის" სამშენებლო სამმართველოს უფროსი

2. რონინიშვილი ჯუმბერ—„საქ. ჩაის" ტრესტის სამტრედიის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსი

3. მელქაძე კ.—ახალბედისეულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

4. ტორონჯაძე რ. ი.—ოფეთის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე

5. მხეიძე ვერა სილიბისტროს ასული—ახალბედისეულის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

6. მეგენიშვილი რ. ბ.—ჩხენიშის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

7. გეგეშიძე ლ. პ.—საჯავახოს საშუალო სკოლის დირექტორი

8. ბარაბაძე თამარ პოლიკარპეს ასული—ნახახულევის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

9. მელქაძე მ. ი.—ეწრის რუსთაველის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე

10. ვადაჭკორია გ. ი. ბაშის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

მაიაკოვსკის რაიონი:

1. ჯოგლიძე შოთა პარმენის ძე—მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

2. კიკნაველიძე ანდრო სამსონის ძე—დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

3. მებურიშვილი დუშიკო ნიკოლოზის ძე—ზეინდრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

4. ხონელიძე შოთა ვალერიანის ძე—ბზავნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

5. ყანჩაველი ალექსანდრა მიხეილის ასული—წითელი ხევის საშუალო სკოლის დირექტორი

6. ღურელიძე ივანე ვასილის ძე—გადიდის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

7. ენდელაძე მიხეილ ალმასხანის ძე—ფერსათის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

ხაშურის რაიონი:

1. შაქარაშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე—მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

2. ნადირაძე ივანე სოლომონის ძე—ქვ. ხანდაკის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

3. ბახტაძე შოთა გიორგის ძე—სასირეთის საშუალო სკოლის დირექტორი

4. გუგულაშვილი იოსებ დავითის ძე—მეტეხის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

5. მემარნიშვილი ეთერი პეტრეს ასული—ნატახტარის რვაწლიანი სკოლის ქართული ენის მასწავლებელი

6. ღვინაძე გივი ისიდორეს ძე—კოდისწყაროს რვაწლიანი სკოლის დირექტორი

გარდაბნის რაიონიდან:

1. ჯავახიშვილი სოლომონ ივანეს ძე—ნორიოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

2. ბიჭოშვილი ეთერი დავითის ასული—ვაშლაჯვრის 8 წლიანი სკოლის დირექტორი

3. ტომარაძე ქიშვარდ თევდორეს ძე—წავკისის საშუალო სკოლის დირექტორი

4. ხუსკივაძე შალვა კონსტანტინეს ძე—ტაბახმელის რვაწლიანი სკოლის ყოფილი დირექტორი

5. აივაზოვი არჩილ ვასილის ძე—ახალი ულიანოვკის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

6. ებილაშვილი დავით ვლადიმერის ძე—მარტყოფის საშუალო სკოლის მასწავლებელი

7. ბანეთიშვილი რობერტ ნიკოლოზის ძე—მარტყოფის საშუალო სკოლის მასწავლებელი

8. გულბანი იონა ნიკოლოზის ძე—მარტყოფის საშუალო სკოლის მასწავლებელი

9. ელჩიევი არჩილ სიმონის ძე—მარტყოფის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

10. კალაძე გრიგოლ ივანეს ძე—მარტყოფის საშუალო სკოლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე

11. ზირაქიშვილი თეიმურაზ გიორგის ძე—დიდი ლილოს საშუალო სკოლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე

12. მურადოვი სადრალინ აბდურას ძე—განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

13. ტაბლიაშვილი ნინო პეტრეს ასული—გარდაბნის რაიგანათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

14. გუჯაბიძე კარლო ვლადიმერის ძე—გარდაბნის რაიგანათლების განყოფილების ინსპექტორი

15. ხიადოვი მამედ მუსტაფა-ოღლი—გარდაბნის მეძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

16. იაშალაშვილი ვალერიან გეურქის ძე—ტაბახმელის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი

17. ქურთუბიძე ქეთევან სევასტის ასული გამარჯვების საბავშვო ბაღის გამგე

18. გოცირიძე ნატალია ივანეს ასული—წავკისის საშუალო სკოლის დამლაგებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისიდან:

1. ალავიძე გიორგი ერმილეს ძე—საქ.ჰიდროენერგომშენის სამრეწველო-საწარმოთა კომბინატის დირექტორი

2. ბალანჩივაძე ნინო ფილიპეს ასული—„მთავართბილმშენის" № 10 სამშენებლო სამმართველოს უფროსი

3. გამცემლიძე ოთარ კონსტანტინეს ძე—ქაღალდის ფაბრიკის დირექტორი

4. გურული კონსტანტინე კონსტანტინეს ძე—ლენინის სახ. ელმავალმშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი

5. ჯანჯღავა ნუნუ იოსების ასული—თბილისის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორი

6. ჯანჯღავა ვარლამ სოსლანის ძე—ლენინის სახ. რაიაღმასკომის თავმჯდომარე

7. იაშვილი ნოდარ მიხეილის ძე—№ 3 ლუდის ქარხნის დირექტორი

8. კაკუშაძე ქეთევან ილიას ასული—№ 1 საბავშვო ბაღის გამგე

9. კარტოზია ბიძინა მელიტონის ძე—პარტიის თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი

10. კანდელაკი ია სევერიანეს ასული—№ 2 ბაგა-ბაღის გამგე

11. ქუთიძე შოთა პლატონის ძე—კიროვის სახ. რაიაღმასკომის თავმჯდომარე

12. ვაშაკიძე არჩილ შალვას ძე—„ელექტროავტომატის" ქარხნის დირექტორი

13. ლაცაბიძე ქეთევან კონსტანტინეს ასული—ლენინის სახ. რაიკომის მდივანი

14. ნიჟარაძე ვახტანგ გიორგის ძე—ხიდმშენის უფროსი

15. ფაჩუაშვილი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე—№ 1 სასადილოების ტრესტის უფროსი

16. ჟუჟუნაშვილი ივანე ანდროს ძე—საქ. სასოფლო სამეურნეო მანქანების ქარხნის. დირექტორი

17. სანებლიძე ნინო რაჟდენის ასული—№ 89 საბავშვო ბაღის გამგე

18. ურუშაძე გიორგი სიმონის ძე—ცხიმკომბინატის დირექტორი

19. ურუშაძე ვასილი ლუკას ძე—კერამიკული კომბინატის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ჩიბურდანიძე დავით ერმილეს ძე—„ინტურისტის" დირექტორი

21. ჩიქვანია ლილი ალექსანდრეს ასული — სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორი

22. ჩხიკვაძე ვარლამი ლეონტის ძე — ქარხანა „ელექტრომძრავას" დირექტორი

23. ჩიხლაძე თამარ დარისპანის ასული—47-ე საშუალო სკოლის დირექტორი

24. ხოშტარია სიმონ სამსონის ძე—26 კომისრის რაიაღმასკომის განათლების განყოფილების გამგე

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 9 დეკემბრის ბრძანება № 1307

## ბოლნისის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გაეცანი რა ბოლნისის რაიონის სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ამ რაიონის რიგ სკოლებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: რ. შკუბულიანი, მ. ელიაური, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვ. რიბალჩენკო, მათემატიკის მასწავლებლები: მ. ქურციკიძე (ბოლნისის ქართული საშუალო სკოლა), ი. ბაირამოვი (ბოლნისის აზერბაიჯანული საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებლები: შ. ბაკურაძე, ც. დოლიძე (ბოლნისის ქართული საშუალო სკოლა), ი. იაკუბოვი (ქვემო ბოლნისის აზერბაიჯანული საშუალო სკოლა), მ. თაბაგარი (დიდი დმანისის საშუალო სკოლა), გ. ჩაგელიშვილი (რაჭის უბნის საშუალო სკოლა); ქიმიის მასწავლებლები: ე. მონიავა, ე. პორფირიონოვა; გერმანული ენის მასწავლებელი ი. მარტიროსოვა (ბოლნისის ქართული საშუალო სკოლა).

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული საწარმოო სწავლება ბოლნისის ქართულსა (სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში ნ. ფარფენოვა და მასწავლებელი ს. ფრუიძე) და აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში გოგონებს შორის (მასწავლებელი შ. აბასოვა). ასევე შრომითი სწავლება კარგადაა დაყენებული ბოლნისის ქართულსა და დიდი დმანისის საშუალო სკოლებში (მასწავლებლები: გ. ბაკურაძე, ლ. გოგუა, პ. კაველაშვილი და ნ. ჩხაიძე).

მიუხედავად ამისა, შესწავლილი სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

დაწყებითი კლასის ზოგიერთი მასწავლებელი, კერძოდ, მ. მარქაროვა, თ. მოლაშვილი (დიდი დმანისის საშუალო სკოლა), მ. ფეტვიაშვილი, ს. სამნიაძე (განთიადის საშუალო სკოლა) არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ვერ აძლევენ მოსწავლეებს ქართული ენის პროგრამით გათვალისწინებული მასალის ცოდნას.

ბავშვებს არა აქვთ გამომუშავებული სწრაფი კითხვის, სუფთად, აზრიანად და სწორად წერის ჩვევები; მცირეა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, დაბალია ზეპირი მეტყველების დონე; არ წარმოებს ვარჯიში შეცდომების გასწორებაზე და ნაკლებად იყენებენ მუშაობაში „ქართული წერის დედანს". მასწავლებელი მ. მარქაროვა დროებით ასწავლის ქართულ ენას IV კლასში, ის საშუალო განათლებითაა, არა აქვს სათანადო სტაჟი, არ იცის საგანი და მისი სწავლების მეთოდები. ამ კლასში საკონტროლო წერა შეასრულა 25-მა მოსწავლემ და ყველამ არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა. ძალზე ცუდად ასწავლის მშობლიურ ენას ქვემო ბოლნისის აზერბაიჯანული საშუალო სკოლის 11 კლასის მასწავლებელი ვ. ხასიევი, რომელსაც პედაგოგიური განათლება და მუშაობის გამოცდილება არა აქვს.

ბევრი ნაკლოვანებით ხასიათდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების დონე რაჭის უბნის (დროებითი მასწავლებელი დ. გორგასლიძე), დიდი დმანისის (მასწავლებლები ვ. ჯალაბაძე და მ. ქოჩაროვი), განთიადის (მასწავლებელი თ. ბლიაძე), ბოლნისის ქართული (მასწავლებლები ე. სოლოღაშვილი და ზ. დარჯანია), საშუალო და ქვეშის რვაწლიან (მასწავლებელი ვ. მიქელაძე) სკოლებში. დიდი დმანისის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ქოჩაროვი X კლასში მუშაობს 1962 წელს გამოცემული საწარმოოსწავლებიანი X კლასის პროგრამით და მას გ. ერისთავის, დანიელ ჭონქაძის, ლავრენტი არდაზიანის, ილ. ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის შემოქმედების შესწავლის გარეშე დაუწყია გ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის და ვაჟა ფშაველას ნაწარმოებების სწავლება. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს არაგულისხმიერად ასწორებენ და ლიბერალურად აფასებენ. მაგალითად, ბოლნისის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელს ზ. დარჯანიას მოსწავლის მ. ფ-ის 14 სექტემბრის ნამუშევარში შეუნიშნავს 7 შეცდომა, შეუნიშნავი დარჩენია 10 და შეუფასებია ნიშან „5"-ზე.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა რაჭის უბნისა და დმანისის საშუალო სკოლების დაწყებით კლასებში. მასწავლებლები ს. თათარაძე, მ. ხიდაშელი და ლ. პოპოვა სუსტად ფლობენ რუსულ ენას; ისინი ვერ ამჩნევენ ზეპირსა და წერით მეტყველებაში მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება. სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს ამ საგანში რაჭის უბ-

ნის (მასწავლებელი ფ. გობეჯიშვილი), დიდი დმანისის (მასწავლე-ბელი ა. ასლანიანცი), განთიადის (მასწავლებელი თ. მანთაშაშვილი), ქვემო ბოლნისის აზერბაიჯანული (მასწავლებლები ი. კულიევი და ს. ყურბანოვი), საშუალო და ქვეშის (მასწავლებელი კ. ნოზაძე) რვაწლიანი სკოლების მოსწავლეებმა. რაჭის უბნის საშუალო სკოლის IX კლასში ალგებრა და ელემენტარული ფუნქციები არ ისწავლება განათლების სამინისტროს მითითების მიხედვით. დიდი დმანისის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლების გამოკვლევა და მისი გეომეტრიული ახსნა, ხოლო XI კლასის მოსწავლეებმა კი ტრიგონომეტრიული ფუნქციები და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. განთიადის საშუალო სკოლის XI კლასის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლების გრაფიკულად ამოხსნა. ქვეშის რვაწლიან სკოლაში მასწავლებელი ნაკლებად ავარჯიშებს მოსწავლეებს პრაქტიკული ხასიათის მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნაზე. ბოლნისის აზერბაიჯანულ-სომხურ საშუალო სკოლის V—VIII კლასებში ფიზიკა-მათემატიკას ასწავლის ისტორიკოსი ვ. მიქაელიანი. შემოწმებული სკოლების მასწავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1961 წლის 17 მაისის № 324 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკური დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დაბალ დონეზე დგას ფიზიკის სწავლება განთიადის (მასწავლებელი ვ. ოკმელაშვილი), დიდი დმანისის (მასწავლებელი ა. ასლანიანცი), ბოლნისის აზერბაიჯანული (მასწავლებელი ს. ალიევი) საშუალო და ქვეშის (მასწავლებელი კ. ნოზაძე) რვაწლიან სკოლებში. დიდი დმანისის VII და VIII კლასების მასწავლებელი ა. ასლანიანცი გაკვეთილებს არ ატარებს ფიზიკის კაბინეტში და არ იყენებს თვალსაჩინო მასალებს; VII კლასის მოსწავლეებმა არ იციან თუ რა არის „მექანიკური მუშაობა“, როგორ გამოითვლება და რა ერთეულებში იზომება იგი, რაში მდგომარეობს ინერციის პირველი კანონი, რა არის „ხახუნი“ და „ძალა“. ამავე სკოლის IX კლასში მოსწავლეებმა არ იციან თანაბარი და ცვალებადი მოძრაობა, მათი გრაფიკები, ნიუტონის კანონები, სტატიკის ელემენტები და სხვ. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი განთიადის საშუალო და ქვეშის რვაწლიანი სკოლების VI, VII, და VIII კლასებშიც.

ქიმიაში მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონე გამომჟღავნდა რაჭის უბნის საშუალო სკოლის IX—X კლასებში (მასწავლებელი

ნ. ბოჭორიშვილი), მოსწავლეებმა არ იციან რეაქციათა ტოლობების წერა, მარილები, ფუძეები. ქვემო ბოლნისის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში (მასწავლებელი მ. ბაირამოვი) რეაქტივების უქონლობის გამო ქიმია ისწავლება სადემონსტრაციო ცდების გარეშე.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული გერმანული ენის სწავლება განთიადის საშუალო (მასწავლებელი ე. რაზმაძე) და ქვეშის რვაწლიან (მასწავლებელი მ. ჟაუტაშვილი) სკოლებში. მოსწავლეებმა არ იციან კითხვის ელემენტარული წესები, მცირეა მათი სიტყვათა მარაგი, მასწავლებელთა მიერ დასმულ კითხვებზე ვერ აგებენ სწორ წინადადებებს, გამოთქმებში უშვებენ უხეშ შეცდომებს, ვერ სწერენ სწორად. რაიონის უმრავლეს სკოლაში გერმანულ ენას ასწავლიან არასპეციალისტები, ხოლო 8 რვაწლიანსა და ერთ საშუალო სკოლაში არც ერთი უცხო ენა არ ისწავლება. გასულ სასწავლო წელს განათლების სამინისტროს ბრძანებით ჯანდრის რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს ფ. მურსაკულოვს, როგორც ამ საგნის არმცოდნესა და არასპეციალისტს, ჩამოერთვა საათები, მაგრამ ახალი, 1964/65 სასწავლო წლიდან მას დაუტოვეს საათები არა მარტო ამ სკოლაში, არამედ შეთავსებით მისცეს 9 საათი ყიზილაჯილოს რვაწლიან სკოლაშიც, სადაც უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტს არა აქვს სრული დატვირთვა.

განთიადის (მასწ. ფ. დევნოზაშვილი, იგივე სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში), რაჭის უბნის (მასწავლებელი ბ. რეხვიაშვილი), ქვემო ბოლნისის აზერბაიჯანული საშუალო და ქვეშის რვაწლიან (მასწავლებელი ე. მიქავა) სკოლებში საწარმოო და შრომითი სწავლება არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული. დასახელებული მასწავლებლები სკოლებში შეთავსებით მუშაობენ.

ბოლნისის საშუალო (დირექტორი ს. ხალილოვი) და ყიზილაჯილოს რვაწლიანი (დირექტორი ფ. ასქეროვი) აზერბაიჯანულ სკოლებში არც ერთ საგანში არ არსებობს სასწავლო კაბინეტები. ხოლო განთიადის საშუალო (დირექტორი თ. აკრიტოვი) და ქვეშის რვაწლიანი (დირექტორი დ. გვენცაძე) სკოლებში ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების ხელსაწყო-იარაღები ერთ პატარა ოთახშია თავმოყრილი.

ბოლნისის რაიონის სკოლებში წლიდან წლამდე არ სრულდება სწავლებაში ბავშვთა და მოზარდთა კონტინგენტის ჩაბმის გეგმა, ასე, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს გეგმის შესრულებას

დააკლდა 212 მოსწავლე. ქვემო ბოლნისის საშუალო (დირექტორი ნ. ალახვერდოვი) სკოლას მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლი სექტემბრიდან დღემდე ჩამოშორდა 42 მოსწავლე, ხოლო ყიზილაჯილოს რვაწლიან სკოლას (დირექტორი ფ. ასქეროვი)—22.

შემოწმებულ სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა. რაჭის უბნის, დიდი დმანისის საშუალო და ქვეშის რვაწლიან სკოლებში არც ერთ საგანში არ არის შექმნილი მეთოდური გაერთიანებები, ხოლო სადაც ასეთი არსებობს —იქ კი,მათი მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. რაიონის სკოლებში ნაკლებად წარმოებს მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება. მასწავლებლების დიდი ნაწილი არ იცნობს განათლების სამინისტროს ბრძანებებს ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ზოგადია კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები. ნაკლებად არის გათვალისწინებული საკითხები ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების დონის ამაღლების შესახებ. პედსაბჭოს სხდომებზე ისმენენ სასწავლო წლის შედეგებს, მაგრამ არ არის მოცემული ჩატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საფუძვლიანი ანალიზი და მიღებული დადგენილებები არ ატარებს კონკრეტულ ხასიათს. ყიზილაჯილოს რვაწლიან სკოლაში სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგების შესახებ ჩატარებული პედსაბჭოს სხდომის ოქმი 17 ნოემბრისათვის არ იყო გაფორმებული, ხოლო ქვეშის რვაწლიან სკოლაში პედსაბჭოს სხდომა ორჯერ ჩაუტარებიათ და ოქმები უწიგნური და არაფრის მთქმელია.

დასახელებული სერიოზული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ვერ ახორციელებენ ქმედით დახმარებასა და კონტროლს მასწავლებლების მუშაობაზე. შესწავლილი სკოლების დირექტორებსა და სასწავლო ნაწილის გამგეებს მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები და ისიც არა აქვთ სწორად გაანალიზებული. ქვეშისა და ყიზილაჯილოს რვაწლიანი სკოლების დირექტორებს დ. გვენცაძესა და ფ. ასქიროვს არ აღმოაჩნდათ გაფორმებული გაკვეთილებზე დასწრების ანალიზები. ყიზილაჯილოს რვაწლიანი სკოლის დირექტორსა და ზოგიერთ მასწავლებელს შორის ადგილი აქვს არაჯანსაღ დამოკიდებულებას.

სკოლების მუშაობაზე უარყოფითად მოქმედებს ის გარემოება, რომ ხშირად აქვს ადგილი სასწავლო დღეების გაცდენას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ მოსწავლეთა გაყვანის გამო. რაიონის

კოლმეურნეობები და სხვა მშრომელები ნაკლებად არიან ჩაბმული სკოლების მშენებლობისა და მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. რაიონის 26 რვაწლიან და დაწყებით სკოლებს არა აქვთ საკუთარი შენობა, რის გამოც ისინი მუშაობენ დაქირავებულ ბინებში; ამასთან რაიონის სკოლების უმრავლესობა მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, რომელთაგან 17 ძალზე დაზიანებულია.

აღნიშნული ნაკლოვანებები მნიშვნელოვნად არის იმის შედეგიც, რომ რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ამხ. გ. ბურძგლა) არასაკმაო ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს რაიონის სკოლების მუშაობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, საფუძვლიანად შეისწავლონ სასწავლო პროგრამები და გაკვეთილზე დასწრების შედეგად მასწავლებლებს მისცენ მეცნიერულად სწორი და მეთოდურად გამართული შენიშვნები და მითითებები;

ბ) მიიღონ გადამწყვეტი ზომები სასწავლო კაბინეტების მოწყობისათვის (სადაც ასეთი არ არსებობს) და ისინი შეავსონ ხელსაწყოებითა და რეაქტივებით, სკოლაში შექმნან საჭირო პირობები, რათა პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული მუშაობა ტარდებოდეს სისტემატურად;

გ) გააძლიერონ მეთოდური მუშაობა სკოლაში და იგი წარმართონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანებისა და მითითების შესაბამისად; გააცნონ მასწავლებლებს განათლების სამინისტროს ბრძანებები ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ;

დ) გარდაქმნან პედაგოგიური საბჭოს მუშაობა, სხდომაზე განიხილონ ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი და სისტემატურად შეამოწმონ მიღებულ დადგენილებათა შესრულება, ხოლო ოქმები გააფორმონ დროულად და წიგნიერად;

ე) კონტროლი დააწესონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩაბმისათვის; არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა განთესვა;

2. ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე გ. ბურძგლა).

ა) უზრუნველყოს ამ ბრძანების განხილვა რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად;

ბ) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებლების მუშაობაზე და საჭირო დახმარების აღმოჩენით მათი საქმიანობა წარმართოს სკოლის წინაშე მდგარი ამოცანების განსახორციელებლად.

გ) პედაგოგიური კადრების შერჩევა და განაწილება აწარმოოს მათი ცენზისა და გამოცდილების საფუძველზე;

დ) პერსონალური კონტროლის ქვეშ დააყენოს მასწავლებლების: თ. მოლაშვილის, ვ. ჯალაბაძის, მ. ქოჩაროვის, ს. თათარაძის, მ. ხიდაშელის, ლ. პოპოვას, ა. ასლანიანცის (დიდი დმანისის საშუალო სკოლა), მ. ფეტვიაშვილის, ს. სამნიაძის, თ. ბლიაძის, თ. მანთეშაშვილის, ვ. ოქმელაშვილის, ვ. რაზმაძის (განთიადის საშუალო სკოლა), ე. სოლოღაშვილის, ზ. დარჯანიას (ბოლნისის ქართული საშუალო სკოლა), ვ. მიქელაძის, კ. ნოზაძის, მ. ჟაუტაშვილის (ქვეშის რვაწლიანი სკოლა), ფ. გობეჯიშვილის (რაჭის უბნის საშუალო სკოლა), მ. ბაირამოვის, ი. კულიევის, ს. ყურბანოვის (ქვემო ბოლნისის აზერბაიჯანული საშუალო სკოლა), ს. ალიევის (ბოლნისის აზერბაიჯანული საშუალო სკოლა) პედაგოგიური საქმიანობა. გააფრთხილოს დასახელებული მასწავლებლები, რომ თუ ისინი უახლოეს დროში არ გამოასწორებენ ნაკლოვანებებს, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები;

ე) მასწავლებლებს ფ. მურსაკულოვსა და ე. მიქაელიანს ჩამოერთვას გერმანული ენისა და ფიზიკა მათემატიკის საათები, როგორც არასპეციალისტებს და უზრუნველყოს ისინი სათანადო დატვირთვით სპეციალობის მიხედვით;

ვ) გაათავისუფლოს როგორც არასპეციალისტები და სუსტად მომუშავენი ე. მიქავა, დროებით დანიშნული მასწავლებლები მ. მარქაროვა და დ. გორგასლიძე;

ზ) მასწავლებელი ვ. ხასიევი, როგორც არასპეციალისტი და ცუდად მომუშავე გაათავისუფლოს სამუშაოდან სათანადო წესების დაცვით;

თ) გაათავისუფლოს სამუშაოდან განთიადის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში ფ. დევნოზაშვილი საგნის მასწავლებლად დატოვებით, რადგან იგი შე-

თავსებით მუშაობს სკოლაში და ვერ უზრუნველყოფს სკოლის სა-წარმოო საქმიანობის ხელმძღვანელობას;

ი) რაჭის უბნის საშუალო სკოლის საწარმოო სწავლების მას-წავლებელი ბ. რეხვიაშვილი გაათავისუფლოს დაკავებული მრავალი თანამდებობიდან და ამუშაოს სპეციალობის მიხედვით.

3. რაჭის უბნის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ხიდაშელს, დიდი დმანისის საშუალო სკოლის დირექტორს მ. თაბაგარსა და განთიადის საშუალო სკოლის დირექტორს თ. აკრიტოვს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის მიეთითოთ.

4. ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ალახ-ვერდოვს, ყიზილაჯილოს რვაწლიანი სკოლის დირექტორს დ. ასკეროვსა და ქვეშის რვაწლიანი სკოლის დირექტორს დ. გვენცა-ძეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შეუსრულებ-ლობისა და სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

5. კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) განათლების განყო-ფილების განაცხადის საფუძველზე უზრუნველყოს რაიონის სკოლები სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით.

6. სასწავლო წლის მესამე მეოთხედის ბოლოს რაიონის სკო-ლების გამოსაშვებ კლასებში განათლების სამინისტროს წარმომად-გენლების თანდასწრებით, ჩატარდეს საკონტროლო წერები მშობ-ლიურ ენასა და მათემატიკაში და შედეგები მოხსენდეს განათლე-ბის სამინისტროს.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) და კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) თვალ-ყური ადევნონ ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 27 ნოემბრის დადგე-ნილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 14 დეკემბრის ბრძანება № 1330

### მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

უკანასკნელ წლებში გარკვეულად გაიზარდა საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების როლი წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების საქმეში. ყოველწლიურად იზრდება იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბეჯით შრომას წარმატებით უთავსებენ სწავლას; ასე, მაგალითად, 1961/62 სასწავლო წელს რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში სწავლობდა 37518 მოსწავლე, გასულ 1963/64 სასწავლო წელს კი—47358.

მაგრამ ზემოაღნიშნულის მიუხედავად, რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, ასე, მაგალითად, გასულ წელს არ შესრულდა სკოლებში ახალგაზრდობის კონტინგენტის ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა. ნაცვლად 47.894 მოსწავლისა, სწავლობდა 47.358 ახალგაზრდა. ამ გარემოების მიზეზია ის, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს კლასების დაუტვირთაობას: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის სატიკარის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VI—VII კლასებში ირიცხებოდა 5—5 მოსწავლე, VIII კლასში — 9 მოსწავლე; ასევე, აბასთუმნის მუშა ახალგაზრდობის სკოლის V კლასი დაკომპლექტებული იყო 7 მოსწავლით, VI კლასი—6-ით, VII კლასი—13 მოსწავლით და ა. შ. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ახალქალაქის, ბოლნისის, ყვარლის, ყაზბეგის, თეთრიწყაროს, ლენტეხისა და სხვა რაიონებში.

ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ სკოლების ხელ-

მძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ერთი მხრივ, რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის გამოსავლინებლად, სწავლებაში მათი ჩასაბმელად და, მეორე მხრივ, სწავლებაში ჩაბმული კონტინგენტის შესანარჩუნებლად. ამის გამო ადგილი აქვს მოსწავლეთა დიდ მოძრაობას და არასაპატიო მიზეზით განთესვას. გასულ, 1963/64 სასწავლო წელს მარტო სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს ჩამოშორდა 1.683 მოსწავლე. სკოლებიდან მოსწავლეთა დიდი რაოდენობით განთესვა არაიშვიათად ხდება ცალკეული კლასებისა და ზოგი სკოლის დახურვის მიზეზი.

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ერთ ნაწილში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, რაც თავის გამოხატულებას პოულობს მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ მოსწრებაში; ასე, მაგალითად, გასული, 1963/64 სასწავლო წლის ბოლოს რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების 42.910 მოსწავლიდან საშემოდგომო გამოცდა მიეცა 6.822 კაცს, იმავე კლასში დარჩა ან კურსი ვერ დაასრულა 1.545-მა ახალგაზრდამ.

დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილებზე ცვლიანი მეცადინეობის მოწყობას, რაც ახალგაზრდობის ერთ ნაწილს ხელს უშლის ჩაებას სწავლებაში.

იმის გამო, რომ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დიდ ნაწილს არა აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების სწავლებისათვის აუცილებელი ხელსაწყო-იარაღები და თვალსაჩინო მასალები, ადგილი აქვს მოსწავლეთათვის საპროგრამო მასალების ზეპირსიტყვიერად, გაუცნობიერებლად გადაცემის შემთხვევებს.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლების დირექტორები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო მუშაობას ატარებენ ფაბრიკების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან, არ აყენებენ საქმის კურსში პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს საღამოს (ცვლის) სკოლების საჭიროებათა შესახებ, არ აინტერესებენ მათ მათი მუშაობის საკითხებით. ამის გამო ბევრი მოსწავლე, რომელიც წარმატებით ათავსებს შრომას და სწავლას, ვერ სარგებლობს კანონით დაწესებული შეღავათებით შემცირებული სამუშაო დღის ან შემცირებული სამუშაო კვირის შესახებ. სკოლების დიდ უმრავლესობაში, განსაკუთრებით სოფლად, მოუგვარებელია ტრანსპორტით მოსწავ-

ლეთა გადაყვანის საკითხი, რაც იწვევს სასწავლო მეცადინეობაზე მათ დაგვიანებას ან სრულიად გამოუცხადებლობას, ჩამორჩენას სასწავლო საგნების შესწავლაში და საბოლოოდ კი სკოლიდან ჩამოშორებას.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 27 ოქტომბრის № 656 დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზების გასაუმჯობესებლად; მოაგვარონ მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღებისა და თვალსაჩინო მასალების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში გამოყენების საკითხი;

ბ) მიაღწიონ სწავლებაში სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის კონტინგენტის ჩაბმას; ბოლო მოუღონ კლასების დაუტვირთაობის დღემდე არსებულ პრაქტიკას და მინიმუმამდე შეამცირონ არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა გათესვის შემთხვევები. მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 14 ნოემბრის № 1246 ბრძანებით „მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის მიზეზებისა და მათი აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ“. ამ მიზნით სისტემატური საქმიანი კავშირი განახორციელონ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებთან და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან;

გ) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის განმტკიცებისა და კონტინგენტის შენარჩუნების საქმეში სკოლების ხელმძღვანელების — დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად ამ ტიპის სკოლებში დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების განაკვეთების ტარიფიკაცია ჩაატარონ წელიწადში ორჯერ—სასწავლო წლისა და მესამე მეოთხედის დასაწყისში;

დ) მკვეთრად აამაღლონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, რისთვისაც გადაჭრით გააძლიერონ ამ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი, საკითხები მათი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად გახადონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგნად.

2. საღამოს (ცვლის) სკოლებისა და ცალკეული კლასების გახსნისას მტკიცედ იქნეს დაცული ამ ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესახებ ამჟამად მოქმედი დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები; ამასთან განემარტოთ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებსა და სკოლების ხელმძღვანელებს, რომ, მოსწავლეთა ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში, სათანადო კონტინგენტის სწავლება მოაწყონ დაუსწრებლად.

3. კვირეული სასწავლო საათების რაოდენობა (ფაკულტატური მეცადინეობის, პროფესიული მომზადებისა და კონსულტაციისათვის განკუთვნილი საათების ჩათვლით) განისაზღვროს 20 საათით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძემ) და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილმა) მეტი ადგილი დაუთმონ თავიანთ მუშაობაში საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას, მათდამი მეთოდურ დახმარებას.

5. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ" (ამხ. ვ. მგალობლიშვილმა) და გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (ამხ. გ. საჯაიამ) სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკის საღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობა.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ (ამხ. რ. კანდელაკმა):

ა) გააძლიეროს საღამოს (ცვლის) სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი. პერიოდულად შეისწავლოს ამ სკოლების მუშაობა, გაუწიოს მათ ადგილზე სათანადო მეთოდური დახმარება და, საჭიროებისას, მოამზადოს საკითხები სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად;

ბ) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტთან და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სათანადო სექტორთან ერთად გადასინჯოს საღამოს (ცვლის) სკოლების ამჟამად მოქმედი პროგრამები და მიიღოს ზომები მათ შემდგომ გასაუმჯობესებლად;

გ) სისტემატური მეთვალყურეობა განახორციელოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 11 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 14 დეკემბრის ბრძანება № 1331

## გურჯაანისა და ახმეტის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გურჯაანისა და ახმეტის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები მიმდინარე სასწავლო წელს გარკვეულ დადებით მუშაობას ატარებენ. მაგრამ, ამასთან ერთად, როგორც ეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, შესწავლილი სკოლების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

აღნიშნული რაიონების ამ ტიპის სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლები პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება საგნის სწავლებას, არ მუშაობს თავის თავზე, რის გამო დაბალ მეცნიერულ-თეორიულ და პედაგოგიურ-მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილს, არ ზრუნავს მოსწავლე ახალგაზრდობას შორის აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად; ამიტომ დაბალია მოსწავლეთა მომზადება ცალკეულ სასწავლო საგნებში. მოსწავლეთა შორის დაბალ დონეზე დგას დისციპლინა, რაც უპირველესყოვლისა, ვლინდება სკოლაში გაკვეთილებზე მოუმზადებელი გამოცხადებით და არასაპატიო მიზეზით სასწავლო მეცადინეობაზე გამოუცხადებლობით.

სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას.

საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის გასაუმჯობესებლად ყველა საჭირო ღონისძიებას არ ატარებენ გურჯაანისა და ახმეტის რაიონების განათლების განყოფილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გურჯაანისა და ახმეტის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგების შესახებ განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად განხილულ იქნეს აღნიშნული რაიონების საღამოს (ცვლის) ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

2. სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო გურჯაანის რაიონის ჭანდრისა და ახმეტის რაიონის ქისტაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს გ. ჯანიაშვილს და ვ. დალაქიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

3. ქ. გურჯაანის მუშა ახალგაზრდობისა და ვაზისუბნის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებს მ. ლაზაშვილს და ი. ტატიშვილს (ქართული ლიტერატურა), ჭანდრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლებს ა. კახაბრიშვილს (მათემატიკა) და გ. ლოლაძეს (ქიმია), ახმეტის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელს გ. გზირიშვილს (ისტორია) საგნის სწავლებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო გამოეცხადოთ საყვედური.

4. ახმეტის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელს ს. უთალიშვილს (რუსული ენა და ლიტერატურა), ქ. გურჯაანის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელს ლ. ყალაბეგაშვილს, ველისციხის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მასწავლებლებს ც. სააკოვას და ა. მიტიჩაშვილს (მათემატიკა), გურჯაანის რაიონის ჭანდრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელს ნ. იმედაშვილს (ქიმია-ბიოლოგია) საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენების გამო მიეთითოთ.

5. გურჯაანისა და ახმეტის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. მ. თოდაშვილმა და ა. შველაშვილმა):

ა) გააძლიერონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი;

ბ) 1965 წლის 25 ივნისამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულების შესახებ.

6. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფი-

ლებამ (ამხ. რ. კანდელაკმა) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 11 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. **თბოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
## ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

### გურჯაანისა და ახმეტის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების უფროსის რ. ს. კანდელაკის, სასკოლო ინსპექტორების ს. ღ. დვალის, ვ. ყ. ტუღუშის, ო. დ. მჭედლიძისა და მეთოდისტ თ. ა. ბისეიშვილის შემადგენლობით ა/წ 16-დან 22 ნოემბრამდე შეისწავლა გურჯაანისა და ახმეტის საღამოს (ცვლის) სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

როგორც საკითხის შესწავლამ ცხადყო, ზემოხსენებული რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული სკოლებში ახალგაზრდობის კონტინგენტის ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებასა და ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში; ასე მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს გეგმით გურჯაანის რაიონში უნდა მუშაობდეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის 8 სკოლა, 53 კლასით და 1083 მოსწავლით, ფაქტიურად მუშაობს 8 სკოლა, 55 კლასით და 1090 მოსწავლით; ანალოგიური მდგომარეობაა ახმეტის რაიონშიც: აქ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 საღამოს (ცვლის) სკოლისა 50 კლასით და 635 მოსწავლით, მუშაობს 11 სკოლა, რომელთა 56 კლასში 720 ახალგაზრდა სწავლობს.

მაგრამ, ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ, თუ მთლიანად ამ რაიონების მიხედვით დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული სკოლებში კონტინგენტის ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა, სამაგიეროდ ზოგ სკოლაში ამ მხრივ ცუდად არის დაყენებული მუშაობა; ასე მაგალითად, გურჯაანის რაიონის მახარაძის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული

7 კლასისა, 115 მოსწავლით, მუშაობს 5 კლასი, რომელშიც 76 მოსწავლეა. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ამავე რაიონის არაშენდის საშუალო სკოლაშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნული რაიონების საღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი სხვა, არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებიც.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა: მათ მხოლოდ მცირე რაოდენობის კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღები აქვთ, ზოგან მოუგვარებელია მასობრივი სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიების საღამოს სკოლების მხრივ შეუფერხებლად სარგებლობის საკითხი. ამ მხრივ კიდევ უარესი მდგომარეობაა გურჯაანის რაიონის ჭანდრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში. იგი რვაწლიანი მასობრივი სკოლის ბაზაზე მუშაობს, რის გამო სრულიად არა აქვს IX—XI კლასებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალები.

აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებები, სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ საღამოს (ცვლის) სკოლების სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით და მასალებით უზრუნველსაყოფად.

გურჯაანის რაიონის ჭანდრის (დირექტორი გ. ჯანიაშვილი) სოფლის ახალგაზრდობისა და ზოგ სხვა სკოლაში არასერიოზულად ეკიდებიან სასკოლო მუშაობის დაგეგმვას. სკოლის წლიური სამუშაო გეგმები არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი. მათში თითქმის არ არის გათვალისწინებული საღამოს (ცვლის) სკოლებისათვის საჭირო, დამახასიათებელი საკითხები. ადგილი აქვს ზოგი, შესასრულებლად დაგეგმილი საკითხის ბუნდოვნად, გაუგებრად გადმოცემის შემთხვევებს. ჭანდრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში ვკითხულობთ: „მასწავლებელთა დამოუკიდებელი სასწავლო მუშაობა კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა გამოყენება სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში". გეგმაში გათვალისწინებულია ახლად დანიშნულ მასწავლებელთა შორის საინსტრუქტაჟო-მეთოდური მუშაობა მაშინ, როცა სკოლაში ერთადერთი ახლად დანიშნული მასწავლებელია. როგორც ჩანს, სკოლის წლიური სამუშაო გეგმები ფორმალურად იხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. იგი არ წარმოადგენს პედაგოგიური კოლექტივის შემოქმედებითი ძიებით შექმნილ სასკოლო დოკუმენტს.

არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი აგრეთვე კლასის

ხელმძღვანელთა გეგმები. ისინი არაიშვიათად ფორმალურად დგება და იმის გაუთვალისწინებლად, თუ რომელ და როგორ კლასთან უხდება მუშაობა მის შემდგენელს. სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ვაზისუბნის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის IX და X კლასების ხელმძღვანელთა (ნ. სოლომნიშვილი და პ. პაიჭაძე) სამუშაო გეგმები ერთმანეთის ასლს წარმოადგენს. არის შემთხვევები, როცა გეგმებში პედაგოგიურად გაუმართლებელი ღონისძიებანია გათვალისწინებული. ხშირად გვხვდება საკითხი—შევასწავლი მოსწავლეთა ქცევის წესებს (!) და სხვ. როგორც ირკვევა, სკოლების ხელმძღვანელები—დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები გულდასმით არ იხილავენ კლასის ხელმძღვანელთა გეგმებს და არ აძლევენ მათ სათანადო მითითებებს.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება სკოლების პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი გეგმით გათვალისწინებული სხდომების ჩაუტარებლობის თუ ცალკეული საკითხების განუხილველობის შემთხვევებს; ასე მაგალითად, ახმეტის რაიონის ქისტაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ვ. დალაქიშვილი) აგვისტოსა და ოქტომბერში არ ჩატარებულა პედაგოგიური საბჭოების სხდომები. სკოლას არ აღმოაჩნდა პედსაბჭოს საოქმე წიგნი. იმავე რაიონის ქვემო ალვანის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლას (დირექტორი ა. ელანიძე) 20 ოქტომბრის პედსაბჭოს სხდომაზე არ განუხილავს გეგმიური საკითხი—მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ და სხვ.

გურჯაანისა და ახმეტის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მივიწყებულია მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის. აქ არც ერთ სკოლას არ აღმოაჩნდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 429 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნული სკოლების ერთ ნაწილში სრულიად მოუგვარებელია სასკოლო დოკუმენტაცია: მოუწესრიგებელია მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს საოქმე წიგნები, სკოლის დღიურები და სხვა; ახმეტის რაიონის ქისტაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლას სრულიად არა აქვს სკოლის დღიური და მოსწავლეთა მოძრაობის წიგნი, ბრძანების წიგნი კი ზონარგაუყრელი და დაულუქავია. მოსწავლეთა დიდ ნაწილს სრულიად არა აქვს პირადი საქმეები, ვისაც აქვს, მას კი მთელი რიგი დოკუმენტები აკლია; ქისტაურის სოფლის ახალგაზ-

რდობის სკოლის V კლასის 15 მოსწავლიდან პირადი საქმე არა აქვს 10-ს, VII კლასში—15-დან 8-ს; VIII კლასში კი 26 მოსწავლიდან 11-ს. იმავე რაიონის ქვემო ალვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში 17 სექტემბრიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე შეუვსებელი იყო სკოლის დღიური. სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების საქმეში ანალოგიურ ნაკლოვანებებს ვხვდებით აგრეთვე ქ. გურჯაანის მუშა ახალგაზრდობის, ჭანდრის, ვაზისუბნის სოფლის ახალგაზრდობისა და სხვა სკოლებში.

დაბალ დონეზე დგას აღმზრდელობითი მუშაობა სწავლებაში ჩაბმულ ახალგაზრდებთან, რაც ერთ-ერთი მიზეზი ხდება იმისა, რომ საღამოს (ცვლის) სკოლებში ხშირია არასაპატიო მიზეზით გაკვეთილზე მოსწავლეთა სრულიად გამოუცხადებლობის ან დაგვიანებით გამოცხადების შემთხვევები; ასე მაგალითად, მიმდინარე წლის 19 ნოემბერს ქისტაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის 83 მოსწავლიდან 1-ლ გაკვეთილზე გამოცხადდა მხოლოდ 24, მესამე გაკვეთილს კი 31 მოსწავლე ესწრებოდა; სრულიად არ გამოცხადდა გაკვეთილზე 52 მოსწავლე.

სასწავლო მეცადინეობაზე სისტემატური გამოუცხადებლობა არაიშვიათად ხდება სკოლებიდან მოსწავლეთა მასობრივი გასვლის მიზეზი. მიმდინარე წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით (№ 7) ჭანდრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა გ. ჯანიაშვილმა გაკვეთილების სისტემატური გაცდენის გამო სიიდან ამოიღო 24 მოსწავლე, მათ შორის 14 ახალგაზრდა V—VIII კლასების მოსწავლეა, მეორე თვეში სკოლის დირექტორმა 16 ნოემბრის ბრძანებით (№ 11) იმავე მიზეზით ამორიცხა მოსწავლეთა სიიდან 19 ახალგაზრდა, მათ შორის 11—V—VIII კლასების მოსწავლეა.

გურჯაანისა და ახმეტის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ ხშირია მასწავლებელთა შორის საათების დაქუცმაცების შემთხვევები: ქ. გურჯაანის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის 14 საათი სამ მასწავლებელზეა განაწილებული; ველისციხის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში იმავე საგნის 18 საათზე აგრეთვე სამი მასწავლებელი მუშაობს და ა. შ. არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ იმავე სკოლის 18 მასწავლებლიდან შემთავსებელია 8.

გურჯაანისა და ახმეტის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა ასეთ სურათს იძლევა:

დამაკმაყოფილებლად ასწავლის ქართულ ენას და ლიტერატურას გურჯაანის რაიონის ველისციხის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი ვ. ბახლიშვილი. იგი გულდასმით ემზადება გაკვეთილისათვის, შესასწავლი მასალიდან გამოყოფს ძირითად, საკვანძო საკითხებს, ითვალისწინებს მოსწავლეთა მომზადების დონეს, მათ შემადგენლობას და სხვ. დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ამ საგნის მასწავლებლები ლ. ჩახნაშვილი (გურჯაანის მუშა ახალგაზრდობის სკოლა) და შ. რაზმაძე (ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა).

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

ქ. გურჯაანის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მ. ლაზაშვილი არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ ადგენს გაკვეთილის გეგმას, არ მუშაობს მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად, საერთოდ საოცარ დაუინტერესებლობას იჩენს საგნის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. კითხვაზე—თუ რატომ არ ამუშავებს მოსწავლეებს მათ მიერ წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომებზე—მასწავლებელმა უპასუხა: „მოსწავლეები არ მიჯერიანო“. ყოველივე ამის გამო მეტად დაბალია IX$^2$ კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე ქართულ ლიტერატურაში: მათ არ ეხერხებათ გეგმის მიხედვით მასალის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა, მეტყველებისას უშვებენ მრავალ სხვადასხვა სახის შეცდომას, თითქმის სრულიად არ იციან საზეპირო ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“ და სხვ. მასწავლებელი მ. ლაზაშვილი არასწორად სვამს კითხვებს კლასის წინაშე და თვითონაც არაიშვიათად უშვებს ენობრივი ხასიათის შეცდომებს მეტყველების დროს.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლის აგრეთვე ქართულ ლიტერატურას ვაზისუბნის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი (სასწავლო ნაწილის გამგე) ი. ტატიშვილი. იგი საერთოდ არ იცნობს დიდტანიანი მხატვრული ნაწარმოების, კერძოდ, კი მ. ჯავახიშვილის რომანის „არსენა მარაბდელის“ სწავლების მეთოდიკას. მასწავლებელი ი. ტატიშვილი არ ასწორებს მასალის თხრობაში მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; მეტიც: მასა-

ლის ახსნის დროს და მხატვრული ტექსტის კითხვისას იგი თვითონვე უშვებს შეცდომებს. მასწავლებელი ი. ტატიშვილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად. მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებში იგი ან შეუნიშნავად ტოვებს შეცდომებს, ან შენიშნავს, მაგრამ სათანადო მუშაობას აღარ ატარებს მათ გასწორებაზე. ყოველივე ამის გამო, რაღა თქმა უნდა, დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონეც.

გურჯაანისა და ახმეტის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის შესწავლილი სკოლების (გარდა ვაზისუბნისა) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთათვის არ არის შექმნილი მეთოდგაერთიანება. სკოლებში არ ეწყობა ღია გაკვეთილები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, არ წარმოებს მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და სხვა.

ნაკლოვანებანი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში გამოწვეულია იმითაც, რომ სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ნაკლებ კვალიფიციურ დახმარებას და ხელმძღვანელობას ახორციელებენ მათ მუშაობაზე.

## რუსული ენა და ლიტერატურა

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება შესწავლილ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში. ახმეტის მუშა ახალგაზრდობის სკოლის V კლასის (მასწავლებელი ს. უთალიშვილი) მოსწავლეები კითხვის დროს უშვებენ უხეშ ენობრივ შეცდომებს, მაგრამ მასწავლებელი არ ასწორებს მათ. რუსული ენის გაკვეთილს მასწავლებელი ისე ატარებს, რომ არ იყენებს დაფას, ცარცს. არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა კალიგრაფია. მოსწავლე წერს: „Курорт Менджи на ходится недалеко отгорода Цхакая". ზოგჯერ თვით მასწავლებელიც უშვებს ენობრივ შეცდომებს; იგი ამბობს: „Сотри и напиши маленькая буква".

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე რუსული ენის სწავლება ქისტაურის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის V კლასში (მასწავლებელი ქ. გოშაძე). იგი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ფაქტიური მასალის ცოდნას და ნაკლებად ზრუნავს მოსწავლეებში მეტყველების ჩვევების განვითარებისათვის.

## მათემატიკა

კარგად მუშაობენ ქ. გურჯაანის მუშა ახალგაზრდობისა და ჭანდრის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების მათემატი-

კის მასწავლებლები ნ. ხარდიაშვილი და ზ. მთიულიშვილი. ნ. ხარდიაშვილმა მაღალ დონეზე ჩაატარა ალგებრის გაკვეთილი VIII კლასში. მან ყველა საშუალება გამოიყენა იმისათვის, რომ მოსწავლეებს ადგილზევე შეეთვისებინათ დასამუშავებელი მასალა. ასევე კარგად ჩაატარა გეომეტრიის გაკვეთილი მე-9 კლასში მასწავლებელმა ზ. მთიულიშვილმა. ამ კლასების მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ შესწავლილ მასალებს.

დაბალ დონეზე ჩაატარა გეომეტრიის გაკვეთილი ჭანდრის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის VII კლასში მასწავლებელმა ა. კახაბრიშვილმა. მან არ გამოიყენა თვალსაჩინოება, მოსწავლეები არ ავარჯიშა ამოცანებზე. ახალი მასალის ახსნას და განმტკიცებას დაუთმო მცირე დრო. მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან გავლილი მასალა.

მასწავლებლები ლ. ყალაბეგაშვილი (ქ. გურჯაანის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა), ც. სააკოვა და ა. მიტიჩაშვილი (ველისციხის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა) კმაყოფილდებიან მოსწავლეებთან მხოლოდ კოლექტიური მეცადინეობით და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მათში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების გამომუშავებას, ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას გაკვეთილზე და უგულებელყოფენ ზეპირ ვარჯიშს.

დასახელებული სკოლების არც ერთი მასწავლებელი არ ავალებს მოსწავლეებს საკონტროლო წერის რვეულებში დაშვებული შეცდომების გასწორებას.

## ქიმია

დამაკმაყოფილებლად მუშაობს გურჯაანის რაიონის ველისციხის სოფლის ახალგაზრდობის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი მ. ღვინიაშვილი. იგი კარგად გადასცემს ახალ მასალას, მოსწავლეებში აღძრავს ინტერესს, რითაც აღწევს ახალი მასალის განმტკიცებას და გაკვეთილზევე მის შესწავლას.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში. IX კლასში გამოტოვებულია მთელი თემა „გრამმოლეკულა, გაზის მოცულობა. ავოგადროს კანონი და მისი გამოყენება ქიმიაში". XI კლასში კი არ არის შესწავლილი თემები „ციკლოპარაფინები", „პოლიეთილენი", „დიენური ნახშირწყალბადები" და სხვ.

ჭანდრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VI და IX კლასების ბიოლოგიის მასწავლებელს ნ. იმედაშვილს შეუმჩნეველი რჩება მოსწავლეთა მიერ არასწორად გამოთქმული წინადადებები.

მოსწავლეები ამბობდნენ „ფეხები", ნაცვლად „ნეკნებისა", „თირკმელა", ნაცვლად „თირკმლისა" და ა. შ. თვით მასწავლებელმაც არასწორად დაწერა დაფაზე „პერციდები" (IX კლ), ნაცვლად „ჰერბიციდისა".

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება ჭანდრის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ქიმიის მასწავლებლის გ. ლოლაძის მუშაობა. იგი საგანს ასწავლის თვალსაჩინოებისა და ცდების გარეშე. VIII და IX კლასებში მის მიერ ჩატარებულმა გაკვეთილებმა მოსწავლეებში ვერ გამოიწვია ინტერესი. ისინი პასიურად ისხდნენ. მოსწავლეებს არა აქვთ რვეულები ქიმიაში. არ აღმოაჩნდათ არც სახელმძღვანელოები. როგორც VIII, ისე IX კლასში მოსწავლეები ამჟღავნებენ დაბალ მომზადებას.

### ისტორია

დამაკმაყოფილებლად ასწავლის ისტორიას ახმეტის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი შ. ლეფსწვერიძე.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ახმეტის მუშა ახალგაზრდობის ისტორიის მასწავლებელი გ. გზირიშვილი. მეტად დაბალი მომზადების დონე გამოამჟღავნეს მე-10 კლასის მოსწავლეებმა. თემა—„იმპერიალიზმის ძირითადი ნიშნები"—ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ მოუთხრო კლასს. თვით მასწავლებელმა, რომელსაც დასჭირდა ხელმეორედ აეხსნა ეს მასალა, გამოამჟღავნა საკითხის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა.

იგივე სურათი განმეორდა მე-8 კლასშიც. თემა—„სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება" მოსწავლეთა მიერ არ იყო საფუძვლიანად ათვისებული. მასწავლებელმა გაკვეთილზე არ გამოუყენებია თვალსაჩინოება—რუკა სრულებით არ შეუტანია კლასში. ახალი მასალა—„მეორე მსოფლიო ომის დაწყება"—ახსნა 4—5 წუთში.

" "

"

გურჯაანისა და ახმეტის სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ზემოხსენებული და სხვა ხარვეზები იმის შედეგიცაა, რომ სკოლების დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები ვერ ახორციელებენ ქმედით, საქმიან ხელმძღვანელობას პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობაზე; შესწავლილი სკოლების ხელმძღვა-

ნელთა უმრავლესობას მოსმენილი აქვს 3—4—5 გაკვეთილი, რომელთა შესახებ დაწერილი ანალიზები ზოგად, ფორმალურ ხასიათს ატარებს და სრულიადაც ვერ ეხმარება მასწავლებლებს.

სკოლების დირექტორები არ იხილავენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებულ საკითხება და არ ატარებენ სათანადო ღონისძიებებს მათი სკოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ: ასე მაგალითად, არც ერთ შესწავლილ სკოლას არ განუხილავს პედსაბჭოს სხდომაზე განათლების სამინისტროს 1964 წლის 16 იანვრის ბრძანება № 37 „მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ და სამინისტროს ბრიგადის მოხსენებითი ბარათი (1964 წ. კრებული № 2).

აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებანი და მათი პედაგოგიური კაბინეტები რიგ შემთხვევაში არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევენ საღამოს (ცვლის) სკოლებს. მომავალში მათ მოუხდებათ გადამჭრელი ღონისძიებანი გაატარონ ამ ტიპის სკოლების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გასაძლიერებლად.

**მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადა:**

**რ. კანდელაკი**

**ს. დვალი**

**გ. ტუღუში**

**ო. მჭედლიძე**

**თ. ბისეიშვილი**

1964 წელი, 2 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1964 წ. 27 ნოემბერი

შეთანხმებულია
საქართველოს სსრ
ჯანმრთელობის მინისტრი
ლ. საყვარელიძე
1964 წ. 27 ნოემბერი

# ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

## გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის სპეციალურ სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა სამედიცინო-სანიტარული მომსახურების შესახებ

1. სპეციალური სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურებას ახორციელებენ ექიმი ფსიქონევროლოგი და სამედიცინო დები, რომლებსაც საშტატო განრიგის შესაბამისად ნიშნავს განათლების სამინისტრო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით.

2. გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სპეციალური სკოლების (რომლებსაც ინტერნატი არ აქვთ) მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურებას ახორციელებენ ექიმი და სამედიცინო დები, რომლებსაც ნიშნავენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1955 წლის 26 დეკემბრის № 282-მ ბრძანების შესაბამისად.

**შენიშვნა:** ექიმი-პედიატრი, მომუშავე სკოლაში ან სკოლა-ინტერნატში, ვალდებულია გაიაროს სპეციალური მომზადება ბავშვთა ფსიქონევროლოგიაში.

3. მუშაობას სპეციალურ სკოლა-ინტერნატში სამედიცინო პერსონალი ატარებს ამ სკოლა-ინტერნატის დებულების შესაბამისად.

4. გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სპეციალური სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების სამედიცინო პერსონალზე მეთოდურ ხელმძღვანელობას და სამედიცინო პერსონალის მუშაობის კონტროლს ახორციელებენ რესპუბლიკური (საოლქო, საქალაქო და სარაიონო) ფსიქონევროლოგიური დისპანსერები; საჭირო შემთხვევაში ისინი ატარებენ აგრეთვე კონსულტაციას ბავშვებთან.

5. ბავშვთა საავადმყოფოებისა (ქალაქად) და ცენტრალური სარაიონო საავადმყოფოების (სოფლის ადგილებში) მთავარი ექიმები უზრუნველყოფენ მათი მოქმედების ტერიტორიაზე განლაგებულ გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სპეციალური სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დასახმარებლად ექიმ-პედიატრებისა და ვიწრო სპეციალობის ექიმების გაგზავნას საკონსულტაციოდ როგორც გეგმის მიხედვით, ისე სკოლის სამედიცინო პერსონალის მოთხოვნით.

6. გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის სისტემატურ კონტროლს ახორციელებენ სათანადო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები.

7. გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სპეციალური სკოლისა და სკოლა-ინტერნატის სამედიცინო პერსონალის მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას და ფიზიკურ განვითარებას, გაუწიოს ბავშვებს სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარება; განახორციელოს ბავშვთა ფიზიკური აღზრდის, შრომითი საქმიანობის, თვითმომსახურების სამუშაოთა, სკოლა-ინტერანატის სადგომებისა და ტერიტორიის სანიტარული მდგომარეობის, ბავშვთა კვების ორგანიზაციის კონტროლი; გაატაროს ეპიდემიის საწინააღმდეგო ყველა საჭირო ღონისძიება; ჩაატაროს სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა აღსაზრდელთა, სკოლის მომსახურე პერსონალსა და მშობელთა შორის

8. სკოლა-ინტერნატის ექიმი:

ა) მონაწილეობს სამედიცინო-პედაგოგიური კომისიის მუშაობაში ბავშვთა მიღებისას დამხმარე სკოლაში;

ბ) გულმოდგინედ სწავლობს თითოეულ ახლად მიღებულ ბავშვს; შესწავლა უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ ფართოდ გამოვლინდეს ბავშვის ნერვიულ ფსიქიკური თავისებურებანი (შემეცნებითი სფერო, ემოციურ-სანებისყოფო სფერო, მოტორიკა, ქცევა);

გ) გარკვეულ მკურნალობას ატარებს ბავშვთა შესწავლისას მიღებული მონაცემების შესაბამისად;

დ) მჭიდრო კონტაქტს ამყარებს მასწავლებლებთან, აღმზრდელთან და მათთან ერთად შეიმუშავებს საკორექციო მუშაობის ერთობლივ ხერხებს თითოეული ბავშვის მიმართ;

ე) ამზადებს და ატარებს სამედიცინო-პედაგოგიურ კონფერენციებს იმ ცალკეულ მოსწავლეთა გარჩევით, რომლებთანაც ძნელდება დიაგნოსტიკა და აგრეთვე სამკურნალო-კორექციული მუ-

შაობა; პედაგოგიურ პერსონალს გააცნობს ბავშვთა ფსიქონევროლოგიის საკითხებს;

ვ) წელიწადში ორჯერ მაინც ატარებს სკოლის ყველა მოსწავლის ღრმა ფსიქონევროლოგიურ შემოწმებას, რათა დაადგინოს ყველა წინსვლა, რაც ბავშვთა მდგომარეობაში მოხდა მკურნალობისა და სწავლების პროცესში და გამოავლინოს აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებიც შეცდომით არიან ჩარიცხული დამხმარე სკოლაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასაწყისში ბავშვთა პოლიკლინიკასთან ან ცენტრალურ სარაიონო საავადმყოფოსთან ერთად ატარებს ბავშვთა ღრმა სამედიცინო შემოწმებას, ანალიზს უკეთებს გასინჯვის შედეგებს და ეწევა ბავშვთა შორის გამოვლინებულ დაავადებათა მკურნალობას;

თ) ორგანიზაციას უკეთებს და ატარებს ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ინფექციურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად;

ი) კონტროლს უწევს პედაგოგიური და მომსახურე პერსონალის მიერ პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებას სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოქმედი ინსტრუქციის თანახმად;

კ) ატარებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და ტუბერკულიოზით დაავადებულ ბავშვთა აღრიცხვას, მათზე სისტემატურ დაკვირვებას, ამ ბავშვთა მკურნალობას;

ლ) კონტროლს უწევს ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარებას და მოსწავლეებს, რომლებსაც მოტორიკის დარღვევები აქვთ, გზავნის სამკურნალო-ფიზკულტურის მეცადინეობაზე;

მ) მონაწილეობს:

მოსწავლეთა შრომითი მომზადების პროფილის განსაზღვრაში და უზრუნველყოფს ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლს პროფესიული მომზადების პროცესში;

დღის რეჟიმის შედგენაში სასწავლო მეცადინეობის პერიოდისათვის და არდადეგების დროისათვის, სკოლის ამოცანებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად;

ნ) მკაცრად აკონტროლებს მოსწავლეთა კვების ორგანიზაციას (მონაწილეობს მენიუს შედგენაში), კვების ბლოკის პერსონალის მუშაობას, კვების პროდუქტების ტექნოლოგიური დამუშავების სისწორეს სანიტარული წესების შესაბამისად;

ო) ახორციელებს თვითმომსახურეობაზე ბავშვთა მუშაობის კონტროლს;

პ) კონტროლს უწევს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას „სანიტარული წესების“ შესაბამისად;

რ) სისტემატურად ატარებს სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, აღმზრდელებთან, მშობლებთან და უმცროს მომსახურე პერსონალთან;

ს) ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის აქტიურ მუშაობაში აბამს პედაგოგიურ პერსონალს, მშობლებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს;

ტ) ატარებს მოსწავლეთა ამბოლატორიულ მიღებას.

9. სკოლა-ინტერნატის სამედიცინო და:

ა) ექიმს ეხმარება მოსწავლეთა სამედიცინო გასინჯვასა და ყველა ღონისძიების განხორციელებაში, რაც დანიშნულია სამედიცინო გასინჯვის შედეგად;

ამზადებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ სამედიცინო რუკებს და ავსებს მათ საერთო ნაწილს,

ატარებს ანთროპომეტრიულ გაზომვებს, ტუბერკულიოზის სინჯს,

აწყობს გასინჯვის დროს გამოყოფილ მოსწავლეთა გაგზავნას სამკურნალო დაწესებულებაში გამოკვლევისა და მკურნალობისათვის,

ასრულებს სკოლის ექიმისა და ექიმ-სპეციალისტების მიერ დანიშნულ მანიპულაციებსა და მკურნალობას,

თვალყურს ადევნებს როგორ ასრულებენ მოსწავლეები ექიმის მიერ დანიშნულ რეჟიმს, დღის ძილის სწორ ჩატარებას;

ბ) ექიმის ხელმძღვანელობით და კონტროლით ატარებს:

დამცველ პროფილაქტიკურ აცრას (ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყვავილის წინააღმდეგ) და მათ აღრიცხვას,

ავად გამხდარ ბავშვთა აღრიცხვასა და იზოლაციას, აგრეთვე კონტაქტში მყოფ ბავშვთა გასინჯვას, თერმომეტრიას და მათთვის დანიშნულ სხვა ღონისძიებებს,

ახორციელებს იზოლატორში მყოფ ბავშვებისადმი მეთვალყურეობას, ასრულებს ექიმის დანიშვნებს;

გ) ახორციელებს სკოლის, ინტერნატისა და სკოლის ნაკვეთის სანიტარული მდგომარეობის ყოველდღიურ კონტროლს, რისთვისაც სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ათვალიერებს სკოლის სადგომებს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კლასების სისუფთავეს, სწორ განათებას, გათბობას, მერხების განლაგებას, სადგომების დალაგებასა და ჰაერის გაწმენდას;

დ) ამოწმებს მერხების სათანადოდ განლაგებისა და მერხებზე ბავშვთა განაწილების სისწორეს;

ე) ამოწმებს ფიზდარბაზების სანიტარულ მდგომარეობას;

ვ) ახორციელებს კვების ბლოკის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისა და მუშაობის, საჭმლის დამზადების სისწორეს, კვების პროდუქტების ტრანსპორტირებისა და შენახვის კონტროლს;

ზ) მოსწავლეებს უწევს გადაუდებელ და სასწრაფო დახმარებას ავადმყოფობის ან ტრავმის შემთხვევაში;

თ) აწარმოებს სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების აღრიცხვასა და შენახვას და ზრუნავს მათ დროულად შევსებაზე;

ი) ექიმის ხელმძღვანელობით აწარმოებს მთელ სამედიცინო დოკუმენტაციასა და ანგარიშგებას დაწესებული ფორმების მიხედვით;

კ) მონაწილეობს მოსწავლეთა და უმცროს მომსახურე პერსონალს შორის სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციასა და ჩატარებაში, ატარებს აგრეთვე გეგმიან მუშაობას მშობლებთან, მშობელთა და საზოგადოებრივ აქტივთან ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე.

10. სამედიცინო პერსონალი მუშაობს რაიონის ფსიქონევროლოგთან შეთანხმებული გეგმით; სამედიცინო პერსონალის მუშაობის გეგმა შედის სკოლის მუშაობის გეგმაში.

11. ექიმი და სამედიცინო დები არიან სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრები.

12. სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის ჩასატარებლად სკოლა გამოყოფს სპეციალურ სადგომს, რომელშიც არის ქვემოაღნიშნული ინვენტარ-მოწყობილობა.

### სამედიცინო კაბინეტის ინვენტარ-მოწყობილობა

1. საწერი მაგიდა . . . . . . . . . . . . . . . 1
2. სკამი . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6
3. ტაბურეტი . . . . . . . . . . . . . . . . 1
4. შირმა . . . . . . . . . . . . . . . . . . 1
5. ტახტი . . . . . . . . . . . . . . . . . . 1
6. კანცელარიის კარადა . . . . . . . . . . . 1
7. აფთიაქის კარადა . . . . . . . . . . . . 1
8. პატარა მაგიდა მინით დახურული . . . . . . 1
9. ვედრო პედალის სახურავით . . . . . . . . 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ფერბენკის სასწორი . . . . . . . . . . . . . . 1
11. სიმაღლის საზომი . . . . . . . . . . . . . . . 1
12. სპირომეტრი . . . . . . . . . . . . . . . . . . 1
13. ხელის დინამომეტრი . . . . . . . . . . . . . . 1
14. სანტიმეტრული ლენტი . . . . . . . . . . . . . 1
15. წყლის სადენი ბაკანი ან პირსაბანი . . . . . . . 1

**შენიშვნა:** სპეციალური სამედიცინო მოწყობილობა-ფიზიოთერაპიული აპარატურა, შპრიცები და სხვ. შეძენილ უნდა იქნეს სკოლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
1964 წლის 27 ნოემბერი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის
მინისტრი ლ. საყვარელიძე
1964 წლის 27 ნოემბერი

# ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

## დამხმარე სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დაკომპლექტების ორგანიზაციის შესახებ

1. დამხმარე სკოლებში მიიღებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმცროსი კლასების მოსწავლეები (8-12 წლის ასაკისა), რომლებსაც არ შეუძლიათ მასობრივ სკოლებში წარმატებით სწავლა ინტელექტუალური ნაკლებობის გამო; ამათ მიეკუთვნებიან ბავშვები შემდეგი სამედიცინო მაჩვენებლებით:

ა) ოლიგოფრენია, დებილობის ფარგლებში;

ბ) ტვინის ინფექციური და ტრავმული დაზიანება გამოსახული ინტელექტუალურ ნაკლოვანებებით;

გ) ეპილეპსია, რომლებსაც თან ახლავს ინტელექტის დაქვეითება უხეში ფსიქიკური დეგრადაციის გარეშე (მხოლოდ იმ პირობით, თუ ბავშვს გულყრები ემართება იშვიათად და ისიც ღამით);

დ) შიზოფრენიული პროცესის დეფექტური სტადია (გამოსახული ფსიქოტიური გამოვლინებების გარეშე);

ე) ზოგიერთი ენდოკრინული დაავადება ინტელექტუალური ნაკლებობით, უხეში ფსიქიკური დეგრადაციის გარეშე.

2. დამხმარე სკოლებში მიიღებიან აგრეთვე 8-11 წლის ბავშვები, რომლებსაც სკოლაში არ უსწავლიათ და აქვთ სამკურნალო ფსიქონევროლოგიური დაწესებულებების დასკვნა დამხმარე სკოლაში სწავლის საჭიროების შესახებ.

3. დამხმარე სკოლაში ჩარიცხვის საწინააღმდეგო მაჩვენებლებია:

ა) ოლიგოფრენია, იმბეცილობის ფარგლებში;

ბ) განვითარების შეჩერება;

გ) ეპილეპსია ხშირი შეტევებით;

დ) გამოსახული ფსიქოპათური საქციელი (ანტისოციალური ქცევა, სიავე, აგრესიულობა);

ე) საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მძიმე დარღვევები;

ვ) სმენისა და მხედველობის უქონლობა ან დაქვეითება.

**შენიშვნა:** გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვები, რომლებსაც ამავე დროს აქვთ სმენის ან მხედველობის დარღვევა (ყრუ, სუსტი სმენის მქონე, უსინათლო) იგზავნებიან ყრუ, უსინათლო, სმენადაქვეითებულ ბავშვების სკოლებთან არსებულ განსაკუთრებულ კლასებში.

4. მომსვლელ ბავშვთა დამხმარე სკოლების დაკომპლექტებას ახდენს სამედიცინო პედაგოგიური კომისია, რომელიც თითოეულ სკოლასთან იქმნება შემდეგი შემადგენლობით: დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე), დამხმარე სკოლის ექიმი, ამ სკოლის მასწავლებელი და ლოგოპედი, ექიმი ფსიქონევროლოგი სამკურნალო დაწესებულებებიდან, მასწავლებელი, რომელიც ბავშვს ასწავლიდა მასობრივ სკოლაში და განათლების შესაბამისი ორგანოს წარმომადგენელი.

5. დამხმარე სკოლა ინტერნატების დაკომპლექტებას ატარებს სამედიცინო პედაგოგიური კომისია იმავე შემადგენლობით. კომისიას აყალიბებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; კომისიაში შედის თითოეული დამხმარე სკოლის ერთი წარმომადგენელი.

კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ნიშნავს ერთ-ერთი დამხმარე სკოლის დირექტორს, რომელსაც აქვს დეფექტოლოგიური განათლება ან ამ სკოლებში მუშაობის გამოცდილება.

**შენიშვნა:** 1) თუ ქალაქში არ არის ექიმი-ფსიქონევროლოგი, კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია მოიწვიოს იგი უახლოესი ცენტრიდან; 2) სამედიცინო პედაგოგიური კომისიის დასკვნა მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ კანონიერად არ ითვლება, თუ გადაწყვეტილება მიღებულია ექიმ ფსიქიატრის მონაწილეობის გარეშე.

6. გადაწყვეტილება დამხმარე სკოლაში ბავშვთა ჩარიცხვის საჭიროების შესახებ მიღებული უნდა იქნეს სამედიცინო-პედაგოგიური კომისიის მიერ შემსვლელი მოსწავლის მდგომარეობის უშუალო შესწავლის შედეგად, აგრეთვე მისი პირადი საქმისა და მთელი არსებული დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე.

7. განსაკუთრებით რთულ შემთხვევაში, როცა მიმღებ კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს ცალკეულ მოსწავლეთა დამხმარე

სკოლის გარკვეულ კლასში ჩარიცხვის შესაძლებლობა, ასეთი მოსწავლეები ჩაირიცხებიან დამხმარე სკოლის პირველ კლასში.

დამხმარე სკოლაში ჩარიცხვაზე დასაბუთებული უარის შემთხვევაში ბავშვები მოწყობილი უნდა იქნენ სოციალური უზრუნველყოფის სისტემის საბავშვო სახლებში.

8. სამედიცინო-პედაგოგიური კომისიის მუშაობის დროს განსაზღვრავს განათლების სამინისტრო.

ბავშვთა შერჩევის საქმის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია მიმღები კომისიის მუშაობა ტარდებოდეს მთელი წლის მანძილზე ისე, რომ ღრმა სამედიცინო-პედაგოგიური შემოწმებისათვის გამოძახებულ იქნან ბავშვთა მცირე ჯგუფები (არა უმეტეს 6-8 ბავშვისა თითოეულ სხდომაზე). კომისიის მიერ დამხმარე სკოლისათვის შერჩეული ბავშვები სწავლას განაგრძობენ მასობრივ სკოლაში, სადაც ისინი იყვნენ შესწავლამდე და, როგორც წესი, დამხმარე სკოლაში ჩაირიცხებიან ახალი სასწავლო წლიდან.

9. მოსწავლის პირად საქმეში უნდა იყოს შემდეგი საბუთები:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (სადაც ბავშვი სწავლობდა) დირექტორის მომართვა, მშობლის განცხადება, სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმიდან ამონაწერი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლის წარმატებით სწავლის შეუძლებლობისა და მისი დამხმარე სკოლაში გადაყვანის აუცილებლობის შესახებ.

ბ) მოსწავლის პედაგოგიური დახასიათება სკოლაში მისი სწავლების ხანგრძლიობის ჩვენებით, მისი მოსწრებისა და ყოფაქცევის ვრცელი ანალიზით დ ყველა პედაგოგიური და სამედიცინო ღონისძიებების აღნიშვნით, რაც სკოლამ განახორციელა მოსწავლის მოსწრების ასამაღლებლად (ინდივიდუალური დახმარება, მკურნალობა და სხვ.). დახასიათებას უნდა დაერთოს მოსწავლის წერითი ნამუშევრები და მოსწრების ფურცელი;

გ) ექიმ-ფსიქონევროლოგის ვრცელი დასკვნა დასაბუთებული დიაგნოზით;

დ) სკოლის სამედიცინო რუკა (ფორმა № 26);

ე) ცნობა მშობლების მუშაობის ადგილიდან თანამდებობისა და ხელფასის ოდენობის ჩვენებით;

ვ) სახლმმართველობის ცნობა კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობის შესახებ.

**შენიშვნა:** 1. ბავშვები, რომლებიც წინათ არ სწავლობდნენ, წარმოადგენენ მე-3, 5, 6 პარაგრაფებში და მე-9 პარაგრაფის გ, ე, და ვ პუნქტებში აღნიშნულ საბუთებს; 2. დამხმარე სკოლა-ინტერნატებში შემსვლელთათვის სავალდებულოა მე-5 და მე-6 პარა-

გრაფებში ნაჩვენები საბუთების წარდგენა.

10. ასაკგადაცილებული ბავშვები, რომლებიც დამხმარე სკოლაში უნდა სწავლობდნენ, შეიძლება მიღებულ იქნან გონებრივად ჩამორჩენილ ასაკგადაცილებულთა კლასში; ასეთი კლასის გახსნის საკითხს წყვეტს განათლების სამინისტრო.

11. დამხმარე სკოლების დაკომპლექტებას განათლების სამინისტრო აწარმოებს საექიმო-პედაგოგიური კომისიის მიერ წარდგენილი საბუთების მიხედვით.

12. დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორი მოსწავლეებს ღებულობს შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზური,

ბ) ეპიდემიოლოგის ცნობა ავადმყოფებთან (ინფექციური დაავადებით) მოსწავლის კონტაქტის უქონლობის შესახებ;

გ) ამ ინსტრუქციის მე-9 მუხლში ჩამოთვლილი საბუთები (მათთვის ვინც სკოლაში სწავლობს).

13. დამხმარე სკოლებში ბავშვთა მიღება სამედიცინო-პედაგოგიური კომისიის გარეშე აკრძალულია. ბავშვთა მიღებაზე ამ ინსტრუქციით დადგენილი წესების დარღვევისას პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება დამხმარე სკოლის დირექტორს.

14. დამხმარე სკოლებში ტარდება მიღებულ მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო-პედაგოგიური შესწავლა. თუ სასწავლო მუშაობისა და ბავშვთა შესწავლის პროცესში დადგინდა მოსწავლის მასობრივ სკოლაში გადაყვანის შესაძლებლობა, დამხმარე სკოლის დირექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ დასვას საკითხი განათლების სამინისტროს წინაშე მოსწავლის მასობრივ სკოლაში დაბრუნების შესახებ.

განათლების სამინისტრო ასეთ მოსწავლეს გაგზავნის მასობრივი სკოლის სათანადო კლასში. მასობრივი სკოლის დირექტორი და პედაგოგიური კოლექტივი ვალდებული არიან ასეთ ბავშვებს შეუქმნან სწავლისათვის ყოველმხრივ ხელშემწყობი პირობები (ინდივიდუალური დახმარება, განსაკუთრებული ყურადღება და ა. შ).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 16 დეკემბრის ბრძანება № 1345

### ქ. თბილისის მესამე მექანიკურ ქარხანაში მოსწავლეთა საწარმოო სწავლების მდგომარეობის შესახებ

გაეცანი რა ქ. თბილისის მესამე მექანიკურ ქარხანაში IX—XI კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების მდგომარეობას აღვნიშნავ, რომ ქარხანაში მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის გამოყოფილ სასწავლო-საწარმოო საამქროებში არაა დაცული უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს ტექნიკურ დანადგარებზე დამცავ მოწყობილობათა უქონლობისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების უხეში დარღვევის ფაქტებს. წარმოების მიერ გამოყოფილი ოსტატ-ინსტრუქტორები, თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებლები იშვიათად აცნობენ მოსწავლეებს და არ მოითხოვენ მათგან აღნიშნული წესების ზუსტად დაცვას მუშაობის პროცესში. ყოველივე ამის შედეგად ა/წ 21 ოქტომბერს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს ქ. თბილისის მესამე მექანიკურ ქარხნის (დირექტორი ა. გორგასლიძე, მთავარი ინჟინერი ვ. მგალობლიშვილი) მე 4 საამქროში (მასწავლებელი ოსტატი მ. გვენცაძე) ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლის (დირექტორი მ. სვანიძე, სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში გ. რუხაძე) მე-10 კლასის მოსწავლე თენგიზ გურაბანიძეს მრუდმხარა წნეხზე (ტიპი K—232) მუშაობის დროს დაუშავდა მარცხენა სამი (საჩვენებელი, შუა და არათითი) და მარჯვენა ხელის ცერა თითი.

დაზიანების შემთხვევა გამოწვეული იყო უსაფრთხოების ტექნიკის ელემენტარული წესების დარღვევის შედეგად და თვით მოსწავლე თენგიზ გურაბანიძის უყურადღებობით. მოსწავლე გურაბანიძე მასწავლებელს არ უნდა დაეშვა სამუშაოდ მრუდმხარა წნეხზე, ვინაიდან „საამწყობო სამუშაოთა ზეინკლის“ სასწავლო პროგ-

რამა არ ითვალისწინებდა აღნიშნულ დანადგარზე ცალკეული ოპერაციების შესრულებას.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებთან მრუდმხარა წნეხებზე უსაფრთხო მუშაობის საკითხებზე ინსტრუქტაჟი არ ჩატარებულა, რასაც მოწმობს სათანადო ჩანაწერების უქონლობა. მოსწავლე გურაბანიძე დაშვებულ იქნა ღია ტიპის ტვიფრზე (შტამპზე) სამუშაოდ, რომელსაც არ ჰქონდა დამცავი მოწყობილობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საამქროში მრუდმხარა წნეხი „ტიპი" K—232, რომელზედაც მუშაობდა მოსწავლე გურაბანიძე, მოთავსებულია საამქროს კარებთან, სადაც დიდი მოძრაობაა, რამაც გაფანტა მოსწავლე გურაბანიძის ყურადღება, მუშაობის პროცესში უკან გაიხედა, და ამ მომენტში მოუხვდა მას თითები წნეხში.

მოსწავლეთა არასაპროგრამო მასალაზე მუშაობა, მათი სამუშაო ადგილებზე არასწორად განაწილება და საამქროდან საამქროში მოსწავლეების ხშირი მოძრაობა მიუთითებს სკოლისა და ქარხნის ადმინისტრაციის სუსტ კონტროლსა და ხელმძღვანელობაზე.

ყოვლად დაუშვებელია ის მდგომარეობა, რომ მომხდარი შემთხვევის შესახებ 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილებამ და ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაციამ არ აცნობეს განათლების სამინისტროს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესონ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის საქმეზე საწარმოო სწავლებისათვის გამოყოფილ საამქროებში;

ბ) გააძლიერონ კონტროლი სამუშაო ადგილზე ცალკეული ოპერაციების მიხედვით ინსტრუქტაჟის ჩატარებაზე;

გ) 1965 წლის 15 თებერვლამდე საწარმოო სწავლების ბაზებში შეისწავლონ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის მდგომარეობა და უზრუნველყონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა;

დ) საწარმოებში უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დარღვევის შედეგად მომხდარი შრომითი დასახიჩრების ყველა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ განათლების სამინისტროს.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1964 წლის 28 თებერვალს დამტკიცებული დებულებით და უზრუნველყონ მისი ზუსტად გატარება;

ბ) რეგულარულად დაესწრონ საწარმოო სწავლების (თეორიულ და პრაქტიკულ) გაკვეთილებს და მოახდინონ საუკეთესო გამოცდილების განზოგადება;

გ) უზრუნველყონ მოსწავლეები საწარმოო სწავლების საამქროებში მუშაობის დროს სპეცტანსაცმელითა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მოქმედი ნორმების შესაბამისად.

3. ეთხოვოს ქ. თბილისის მესამე მექანიკური ქარხნის დირექციას:

ა) გაატაროს ღონისძიებანი სკოლებისათვის გამოყოფილ სასწავლო საამქროებში უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის უკეთ დაცვისათვის;

ბ) საწარმოო სწავლების მასწავლებელ მ. გვენცაძისა და უსაფრთხობის ტექნიკის დარგში მომუშავე ინჟინერ ლ. გუფენბერგის მიმართ გაითვალისწინოს ადმინისტრაციული სასჯელი;

გ) გააფრთხილოს საამქროს ხელმძღვანელები, სადაც IX—XI კლასის მოსწავლეები გადიან საწარმოო სწავლებას, რათა მოსწავლეები არ დაუშვან ისეთ სამუშაოებზე, რასაც პროფესიული მომზადების სასწავლო პროგრამა არ ითვალისწინებს.

4. ქარხნის სასწავლო-საწარმოო საამქროში უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვის საქმეზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის, რამაც გამოიწვია მოსწავლე გურაბანიძის მსუბუქად დაშავება, ქ. თბილისის 87-ე საშ. სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს საწარმოო სწავლების დარგში გ. რუხაძეს გამოეცხადოს საყვედური.

5. საწარმოო სწავლების დაყენებაზე არა საკმაო ხელმძღვანელობისათვის ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლის დირექტორს მ. სვანიძეს მიეთითოს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 27 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 14 აგვისტოს ბრძანება № 892

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 352 დადგენილების შესაბამისად გამოქვეყნდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულის უახლოეს ნომერში ზემოხსენებული დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო წარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ“ დანართებით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1964 წლის 29 აპრილის № 252
დადგენილებით

# ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

